პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ Орган Центрального и Тбилисского комитетов КП (б) Грузии и Советов депутатов трудящихся Грузинской ССР

გამოცემის 29-ე წელი

კვირა, 9 იანვარი, 1949 წ. № 6 (8309). ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დ ღ ე ს   გ ა ზ ე თ შ ი:

სანიმუშოდ ვიმუშაოთ სამეურნეო წლის პირველი დღეებიდანვე—მოწინავე (1-ლი გვერდი).
თბილისის XIX საქალაქო პარტიული კონფერენციის მისალმება ამხანაგ სტალინს (1-ლი გვერდი).
მუშაობას შეუდგა თბილისის XIX საქალაქო პარტიული კონფერენცია (1-ლი გვერდი).
სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სესია ლენინგრადში (1-ლი გვერდი).
ვ. ი. ლენინის გარდაცვალების 25-ე წლისთავისათვის (მე-2 გვერდი).
პარტიულ კონფერენციებზე (მე-2 გვერდი).
სახალხო სასამართლოების არჩევნების წინასაარჩევნო სა... ოლქო თათბირებზე (მე-3 გვერდი).
საქართველოს ბოლშევიკების XIV ყრილობის აღსანიშნავად (მე-3 გვერდი).
უჩა ჯაფარიძე (მე-3 გვერდი).
საერთაშორისო მიმოხილვა (მე-4 გვერდი).
უცხოეთის ამბები—დეპეშები (მე-4 გვერდი).

# სანიმუშოდ ვიმუშაოთ სამეურნეო წლის პირველი დღეებიდანვე

საქართველოს მშრომელებმა ჩვენი უძლეველი სამშობლოს მოძმე რესპუბლიკების ხალხებთან ერთად შესანიშნავი მიღწევებით დაამთავრეს ხუთწლედის მესამე წელი. მოპოვებულია უდიდესი წარმატებანი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტისა და კაპიტალური მშენებლობის, კულტურისა და ხელოვნების ყველა დარგში, ყველა უბანზე. რესპუბლიკის მრეწველობა თვიდან თვემდე გადაჭარბებით ასრულებდა საგეგმო დავალებას, აუმჯობესებდა პროდუქციის ხარისხს, სისტემატურად ამცირებდა თვითღირებულებას, ადიდებდა დაგროვებას.

მაღალნაყოფიერად მუშაობდნენ რესპუბლიკის რკინიგზელები. წინა წლებთან შედარებით თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა მგზავრთა მომსახურება, გადიდდა ტვირთზიდვა, გაძლიერდა რენტაბელობისათვის ბრძოლა.

თვალსაჩინო წარმატებაა მოპოვებული კაპიტალური მშენებლობის დარგში. შარშან რესპუბლიკის მრეწველობას შეემატა მთელი რიგი ახალი საწარმო, მათ შორის უახლესი ტექნიკით აღჭურვილი მძლავრი ლოკომოტივსარემონტო ქარხანა, რომლის საამქროებში უკვე შეუდგნენ ელქტრომავლებისა და თბომავლების შეკეთებას. მოქმედ ელექტროსადგურებს შეემატა სოხუმჰესი, რომელიც ახლა მთელი სიმძლავრით მუშაობს და მრავალ ათას კილოვატ ელექტროენერგიას აწვდის ჩვენს სახალხო მეურნეობას. 31 დეკემბერს ამუშავდა ხრამჰესის მეორე მძლავრი აგრეგატი. ამ აგრეგატის ამუშავებით ხრამის ჰიდროელსადგური ყველაზე უფრო მძლავრი სადგური გახდა რესპუბლიკაში. წარმატებით გრძელდებოდა რუსთავის მეტალურგიული და ქუთაისის საავტომობილო ქარხნების, ჩითახევის ჰიდროელსადგურის, ქვანახშირის ახალი შახტებისა და ათობით სხვა საწარმოს მშენებლობა.

შარშან გაცილებით უფრო ჩქარი ტემპით წარმოებდა საბინაო მშენებლობა. მარტო თბილისში აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა 11 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. მრავალი ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი გადაეცა საექსპლოატაციოდ მეტალურგების ქალაქ რუსთავში, ტყიბულში, ტყვარჩელში, ქუთაისში, ახალციხეში, რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და დაბებში.

საყოველთაოდ ცნობილია ჩვენი რესპუბლიკის სოციალისტური სოფლის მეურნეობის მიერ განვლილ სამეურნეო წელს მოპოვებული წარმატებანი. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის თებერვლის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებებით შეიარაღებულმა რესპუბლიკის კოლმეურნეებმა, საბჭოთა მეურნეობის მუშებმა და სპეციალისტებმა, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების უნარიანი ხელმძღვანელობით მარცვლეულის, ტექნიკური და სუბტროპიკული კულტურების უხვი მოსავალი მოიყვანეს, დიდი გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის პურის, ჩაის ფოთლის, ყურძნის, თამბაქოს, აბრეშუმის პარკის, ხორცისა და რძის პროდუქტების ჩაბარების გეგმა, წარმატებით მიმდინარეობს ციტრუსების დამზადება.

დადგა ახალი სტალინური ხუთწლედის მეოთხე წელი. მიმდინარე სამეურნეო წელს ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა წინაშე, ისე როგორც მთელი საბჭოთა სამშობლოს მშრომელთა წინაშე, დასახულია უფრო გრანდიოზული ამოცანები სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში. წელს ჩვენ არა მარტო უნდა შევინარჩუნოთ და განვამტკიცოთ გასულ წელს მოპოვებული მიღწევები, არამედ ყოველდღიურად ვამრავლოთ წარმატება, მტკიცე ნაბიჯით ვიაროთ წინ კომუნიზმის მშენებლობის დიადი გზით.

რესპუბლიკის მრეწველობის მუშაკთა წინაშე დასახულია ამოცანა მკვეთრად გაადიდონ პროდუქციის გამოშვება, გააფართოონ ასორტიმენტი, უფრო ენერგიულად იბრძოლონ ხარისხის გასაუმჯობესებლად, თვითღირებულების შესამცირებლად, მიაღწიონ თვითეული საწარმოს რენტაბელურ მუშაობას, დაგროვების შემდგომ გადიდებას. სამეურნეო წლის დასაწყისიდანვე უნდა ავიღოთ მუშაობის ისეთი ტემპი, რომელიც უზრუნველყოფს გეგმების გადაჭარბებით შესრულებას თვითეული საწარმოს, თვითეული საამქროს, თვითეული ბრიგადისა და მუშის მიერ. სამეურნეო წლის პირველი დღეებიდანვე უნდა უზრუნველვყოთ ისეთი მდგომარეობა, რომ არ ჩამორჩეს არც ერთი საწარმო.

დიდია მშენებელთა წინაშე დასახული ამოცანები. რუსთავის მეტალურგიული გიგანტის მშენებლებმა მთელი რიგი დამხმარე საამქროებისა და ნაგებობების გარდა მოქმედ საწარმოთა მწყობრში უნდა ჩააყენონ ამ გიგანტის რამდენიმე ძირითადი საამქრო და წელსვე უზრუნველყონ ქართული ფოლადის გამოშვება. საგრძნობლად უნდა გაძლიერდეს ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მშენებლობა და მთავრობის მიერ დაწესებულ ვადაზე უზრუნველვყოთ მისი ამუშავება. საჭიროა გავაძლიეროთ ქვანახშირის შახტების მშენებლობა ტყვარჩელსა და ახალციხეში, მოქმედი შახტების რეკონსტრუქცია ტყიბულში. ეს სამუშაო იმ ანგარიშით უნდა ვაწარმოოთ, რომ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ამუშავების დროისათვის სავსებით უზრუნველვყოთ იგი კოქსვადი ქვანახშირით.

დიდია ჩვენს წინაშე დასახული ამოცანები საბინაო მშენებლობის დარგში. მარტო თბილისში წელს ასაშენებელია 46 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. მეტალურგების ქალაქს, აგრეთვე რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებს უნდა შეემატოს მრავალი ახალი საცხოვრებელი სახლი.

სოციალისტური სოფლის მეურნეობის მუშაკთა წინაშე დასახულია ამოცანა მიაღწიონ შემდგომ სწრაფ აღმავლობას როგორც მარცვლეულის, ტექნიკური და სუბტროპიკული კულტურების, ისე მეცხოველეობის განვითარებისა და მისი პროდუქტიულობის გადიდების საქმეში.

ჩვენი მრავალფეროვანი სოციალისტური სახალხო მეურნეობის წინაშე ახალი სტალინური ხუთწლედის მეოთხე წელს დასახული ამ გრანდიოზული ამოცანების წარმატებით განხორციელება, ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულება მოითხოვს სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას, სამეურნეო და პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერებას, სოციალისტური შეჯიბრების უფრო ფართოდ გაშლას. საჭიროა მივაღწიოთ საწარმოო გეგმების არა მარტო რაოდენობრივი, არამედ ასორტიმენტისა და ხარისხობრივი მაჩვენებლებით აუცილებლად შესრულებას, უკეთესად ვიმუშაოთ პროდუქციის თვითღირებულების შესამცირებლად, დაგროვების გასადიდებლად, გულისხმიერად ვზარდოთ კადრები, შევუქმნათ მათ მაღალნაყოფიერი შრომისა და კულტურული დასვენების ყოველგვარი პირობა.

სამეურნეო წლის პირველი დღეებიდანვე უზრუნველვყოთ მაღალნაყოფიერი მუშაობა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში!

მორიგი საწარმოო გამარჯვებით შევხვდეთ საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობას!

---

## ლენინის დღეების წინ

**ულიანოვსკი**, 7 იანვარი. (საკდესი). ულიანოვსკის ვ. ი. ლენინის სახელობის წიგნის საოლქო სასახლეში გაიმართა რვა ლექცია ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ლექციებს 4 ათასზე მეტი კაცი დაესწრო. ლექციები წაკითხულ იქნა შემდეგ თემებზე: „ვ. ი. ლენინის ბავშვობისა და ჭაბუკობის წლები და რევოლუციური მოღვაწეობის დასაწყისი“, „ლენინი და სტალინი—ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დიდი ორგანიზატორები“, „ლენინისა და სტალინის მოძღვრება სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ“ და სხვ.

გაცხოველებით ემზადება ლენინის დღეებისათვის ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის ულიანოვსკის ფილიალი. აქ მიღებულია ახალი ექსპონატები. მათ შორის არის სოფელ შუშენსკოეს იმ სახლის მაკეტი, სადაც ვლადიმერ ილიას-ძე გადასახლებაში ყოფნისას ცხოვრობდა.

**დონის როსტოვი**, 7 იანვარი. (საკდესი). დონის პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანიზაციები შეუდგნენ ლენინის დღეებისათვის მზადებას. საწარმოებში, მტს-ებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში მოეწყობა საუბრები: „25 წელი ულენინოდ ლენინის გზით ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით“, „ვ. ი. ლენინი — კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებელი“, „ლენინი და სტალინი შრომის ნაყოფიერების, როგორც კომუნიზმის გამარჯვების უმთავრესი პირობის შესახებ“, „ლენინი და სტალინი ბუნების გარდაქმნის შესახებ“ და სხვ.

პარტიულ კაბინეტებში, ბიბლიოთეკებში, კულტურის სახლებში, წითელ კუთხეებში, თეატრებში იმართება ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი გამოფენები.

მოსკოვი

# საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ამხანაგ ს ტ ა ლ ი ნ ს

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ!

საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის ბოლშევიკები, შეკრებილნი რა თავიანთ XIX საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე, გულითად, ბოლშევიკურ სალამს გიძღვნიან თქვენ, პარტიისა და ხალხის დიდ ბელადს, საყვარელ და ბრძენ მასწავლებელს!

თავის მორიგ კონფერენციაზე თბილისის პარტიული ორგანიზაცია მოვიდა მონოლითური რიგებით, საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ლენინურ-სტალინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო მჭიდროდ დარაზმული.

ჩვენ ვამაყობთ იმის შეგნებით, რომ ვცხოვრობთ და ვაშენებთ ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოსათვის, იმ ქალაქში, სადაც ნახევარი საუკუნის წინათ თქვენ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, ურღვევ საფუძვლებს უყრიდით საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციებს.

თბილისის პარტიული ორგანიზაცია, ისევე როგორც მთელი საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა), იზრდებოდა საბრძოლო სტალინურ ტრადიციებზე. იგი წმიდად ინახავს ამ ტრადიციებს და იცავს მათ თავის ყოველდღიურ მუშაობაში.

ეს ტრადიციები ცოცხლობენ იმ წარმატებებშიც, რომლებსაც თბილისის ბოლშევიკებმა საანგარიშო პერიოდში სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა უბანზე მიაღწიეს.

მოხარული ვართ მოგახსენოთ, მშობლიურო ამხანაგო სტალინ, რომ თბილისის XVIII საქალაქო პარტიული კონფერენციის შემდეგ განვლილ წლებში საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის მრეწველობა მნიშვნელოვნად გაიზარდა და განმტკიცდა, რომ უფრო და უფრო იზრდება მისი წვლილი ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობაში. ახალ დიდ წარმატებებს მიაღწიეს ფორმით ნაციონალურმა და შინაარსით სოციალისტურმა ქართულმა საბჭოთა კულტურამ, ქართულმა საბჭოთა მეცნიერებამ.

ასრულებდა რა თქვენს ბრძნულ მითითებებს, თბილისის პარტიულმა ორგანიზაციამ სერიოზულ წარმატებებს მიაღწია ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის დავალებათა განხორციელებაში. იგი ბოლშევიკურად მეთაურობს ქალაქის საწარმოებში და მშენებლობებზე ფართოდ გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებას.

თბილისის მრეწველობამ გადაჭარბებით შეასრულა ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის პირველი სამი წლის გეგმა. ეს წლები და, განსაკუთრებით, მესამე, გადამწყვეტი წელი, აღნიშნულია წარმოებაში შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებით, ახალი ტექნიკის დანერგვით, სამრეწველო პროდუქციის ახალ სახეთა ათვისებით, შინასაწარმოო რეზერვების უკეთესად გამოყენებისათვის, ეკონომიისა და მომჭირნეობისათვის ბრძოლის გაძლიერებით.

საქართველოს მრეწველობის, ტრანსპორტისა და მშენებლობათა მუშაკების წერილში თქვენდამი ქალაქ თბილისის სამრეწველო საწარმოებმა ვალდებულება იკისრეს მოეცათ 1948 წელს 51 მილიონი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება. მოხარული ვართ მოგახსენოთ, ამხანაგო სტალინ, რომ ეს ვალდებულება ღირსეულად და გადაჭარბებით შესრულდა — ქალაქის საწარმოებმა გასულ წელს 65 მილიონ მანეთზე მეტი ზეგეგმითი მოგება მოგვცეს.

ხელმძღვანელობენ რა თქვენი მითითებებით, თბილისის პარტიული ორგანიზაციები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ პარტიის წევრთა, კომკავშირელთა, საბჭოთა ახალგაზრდობის ბოლშევიკურ აღზრდასა და იდეურ გამოწრთობას. ჩვენ ვეწეოდით და ვეწევით მტკიცე ბრძოლას იდეოლოგიურ საკითხებზე საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ისტორიულ მითითებათა შესასრულებლად, ვაღწევთ მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების შემდგომ აღმავლობას.

ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ! ღრმად შეგნებული აქვთ რა მნიშვნელობა თქვენი სიტყვებისა იმის შესახებ, რომ „კრიტიკა და თვითკრიტიკა ის იარაღია, რომლის საშუალებითაც ჩვენ ვააშკარავებთ და ვსპობთ სოციალისტური მშენებლობის ნაკლოვანებებს და წინ მივდივართ“, თბილისის ბოლშევიკები გაბედულად ამჟღავნებენ ნაკლოვანებებს თავიანთ მუშაობაში, სპობენ თავიანთ გზაზე ყოველივე იმას, რაც ხელს გვიშლის წინსვლაში, რაზმავენ მასებს ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, თქვენ დიად წინასწარდასახულობათა განხორციელებისათვის საბრძოლველად.

ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის მეოთხე წელი მისი დამამთავრებელი წელი უნდა გახდეს,—ასეთია საბჭოთა ხალხის ნება და გადაწყვეტილება. პირობას გაძლევთ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, რომ თბილისის ბოლშევიკები და ყველა მშრომელნი უფრო ფართოდ გააჩაღებენ შეჯიბრებას ამ ამოცანის განხორციელებისათვის, კომუნიზმის გზაზე ახალ გამარჯვებათა მოსაპოვებლად.

თბილისის ბოლშევიკები პირობას გაძლევენ, თქვენ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, რომ მიაღწევენ ორგანიზაციული და იდეურ-პოლიტიკური მუშაობის, როგორც კომუნისტური საზოგადოების წარმატებით მშენებლობის უმნიშვნელოვანესი პირობის, ხარისხის შემდგომ ამაღლებას.

ჩვენი საყვარელი სოციალისტური სამშობლო ახალ წელში შევიდა კიდევ უფრო ძლიერი, დიად სამუშაოთა სტალინური გეგმის შესრულებისათვის ბრძოლაში გამარჯვებებით სახელმოხვეჭილი. მხნედ, რწმენით, სიხარულით შესცქერიან მომავალს საბჭოთა ადამიანები. ამ სიმხნევეს, რწმენასა და სიხარულს ისინი პოულობენ პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ბრძნულ პოლიტიკაში, რომელსაც ასულდგმულებს და წარმართავს დიდი სტალინის გენია.

გაუმარჯოს ბოლშევიკების პარტიას, ლენინ-სტალინის პარტიას, ბრძოლებში გამობრძმედილ საბჭოთა ხალხის ავანგარდს!

დიდება პარტიისა და ხალხის დიდ, ბრძენ ბელადს — მშობლიურ, საყვარელ სტალინს!

## მუშაობას შეუდგა თბილისის XIX საქალაქო პარტიული კონფერენცია

გუშინ, 8 იანვარს, მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში გაიხსნა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის XIX საქალაქო პარტიული კონფერენცია.

კონფერენცია გახსნა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. ზამბახიძემ.

საქმიან პრეზიდიუმში კონფერენციამ აირჩია ამხანაგები: **კ. ჩარკვიანი, ზ. ჩხუბიანიშვილი, ვ. გოგუა, მ. ბარამია, ა. თოფურიძე, რ. შადური, მ. ლელაშვილი, გ. ზამბახიძე, ზ. კეცხოველი, ს. იმხანოვი, კ. ციმაკურიძე, ა. ანტონოვი, ე. ჩერქეზია, ვ. ლოლაძე, ა. ჯიშიაშვილი, გ. გოჩაშვილი, გ. კარანაძე, ნ. რუხაძე, ი. ზოდელავა, ი. ხვედელიანი, ვ. ბარბაქაძე, გ. ცქიტიშვილი, გ. ლუარსაბოვი, გ. ჟორჟიკაშვილი, თ. ქვლივიძე, დ. კოლესნიკოვი, კ. ილურიძე, გ. კიკნაძე, ნ. გაბუნია, ლ. ასათიანი, ა. ხორავა, მ. მეგრელიშვილი, ნ. კეცხოველი, ბ. ნანიტაშვილი, ნ. პავჩინსკი.**

სამანდატო კომისიაში კონფერენციამ აირჩია ამხანაგები: **ი. ჩოჩია, შ. ჯაფარიძე, დ. ჯავახიშვილი, მ. იავრიანი, ი. გეტაშვილი, ი. მაისაია, ი. სხირტლაძე.**

სამდივნოში არჩეული იქნენ ამხანაგები: **ნ. სტურუა, პ. პოლიაკოვი, ზ. პოლოსიანი, დ. ჯიბლაძე, გ. ბახტაძე, ბ. ლელინი** და **ვ. მელქაძე.**

კონფერენციის მონაწილენი მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით საპატიო პრეზიდიუმში ირჩევენ მთელი მსოფლიოს მშრომელთა საყვარელ ბელადს, მამასა და მასწავლებელს დიდ **სტალინს** და მის უახლოეს თანამებრძოლებს ამხანაგებს **მოლოტოვს, ბერიას, მალენკოვს, ვოროშილოვს, ანდრეევს, მიქოიანს, კაგანოვიჩს, ხრუშჩოვს, ვოზნესენსკის, შვერნიკს, ბულგანინს, კოსიგინს.**

კონფერენციამ დაამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი:

1. საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის ანგარიში (მომხსენებელი ამხ. კ. ნ. ჩარკვიანი).
2. საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის სარევიზიო კომისიის ანგარიში (მომხსენებელი ამხ. გ. ელისაბედაშვილი).
3. თბილისის საქალაქო კომიტეტის, სარევიზიო კომისიისა და საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის დელეგატების არჩევნები.

საანგარიშო მოხსენებით საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის საქალაქო კომიტეტის განვლილი მუშაობის შესახებ გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხანაგი კ. ნ. ჩარკვიანი, რომელსაც კონფერენციის დელეგატები მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

ამხანაგ კ. ნ. ჩარკვიანის მოხსენების შემდეგ კონფერენციამ მოისმინა სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ამხ. გ. ელისაბედაშვილის მოხსენება.

კონფერენციამ უდიდესი აღფრთოვანებით, მქუხარე ოვაციით მიიღო მისასალმებელი დეპეშა ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინისადმი.**

თბილისის XIX საქალაქო პარტიული კონფერენციის პირველი სხდომა ამით დამთავრდა.

მეორე სხდომა შედგება დღეს, 9 იანვარს, დილის 11 საათზე.

## რკინიგზების ელექტროფიკაცია

ჩვენს ქვეყანაში წლითიწლობით ფართოვდება ელექტროფიცირებული რკინიგზის ხაზების ქსელი. პროფილისა და ტვირთდაძაბულობის მიხედვით ძნელი, სულ უფრო მეტი უბანი გადაჰყავთ ორთქლის წევიდან უფრო ეკონომიურ ელექტროწევაზე.

ომისშემდგომი ხუთწლედის მესამე გადამწყვეტ წელს საექსპლოატაციოდ ვადაცემულ იქნა 251 კილომეტრი მაგისტრალური და 61 კილომეტრი საგარეუბნო ელექტროფიცირებული ხაზი. კვლავ დაიწყო ელექტრომატარებლების მიმოსვლა 98 კილომეტრი სიგრძის დოლგინცევო-ნიკოპოლის აღდგენილ უბანზე. ელექტროწევაზეა გადაყვანილი რიონ-ტყიბულის, სამტრედია-ფოთისა და სხვა ძნელი პროფილის მაგისტრალური უბნები კავკასიაში.

საგარეუბნო ელექტრომატარებელთა მიმოსვლა დაიწყო მოსკოვთან ბოლშევო-ფრიაზინის შტოზე, ლენინგრადთან — კრასნოე სელო-გატჩინის უბანზე. 13 კილომეტრი ელექტროხაზი გადაცემულია საექსპლოატაციოდ აზერბაიჯანის გზაზე.

გარდა ამისა 200 კილომეტრამდე სიგრძის უბნებზე მთლიანად დამთავრდა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები. უახლოეს ხანში ელექტრომატარებლები ივლიან ურალ-ციმბირის მთავარი მაგისტრალის ერთ-ერთ გადამწყვეტ უბანზე ბერდიაუშ-კროპაჩევოს უბანზე, აგრეთვე სვერდლოვსკის გზის ბოგოსლოვსკ-ნადეჟდინსკის ხაზზე.

წელს ელექტროფიკაციის ძირითადი სამუშაოები იწარმოებს ურალისა და ციმბირის რკინიგზებზე. წლის დამლევისათვის საექსპლოატაციოდ გადაცემულ უნდა იქნას ნადეჟდინსკ-ვერხოტურიეს და კიზელ-სოლიკამსკის უბნები. გრძელდება მუშაობა ტომსკისა და ომსკის გზების ელექტროფიკაციისათვის.

ტექნიკური პროექტის შედგენა დამთავრდა და უახლოეს ხანში დაიწყება საგარეუბნო მიმოსვლის ელექტროფიკაცია კიევის სარკინიგზო კვანძზე. 23 კილომეტრი სიგრძის პირველი უბანი კიევი-ბოიარკა წელს უნდა ჩადგეს მწყობრში. მოსკოვთან ელექტროფიცირებულ იქნება ოდინცოვო-გოლიცინოს უბანი. (საკდესი).

## სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სესია ლენინგრადში

### აკადემიის განყოფილებათა სხდომები

**ლენინგრადი**, 6 იანვარი. (საკდესი). ვ. ი. ლენინის გარდაცვალების 25-ე წლისთავს, რაც ამ თვეში სრულდება, მიეძღვნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიისა და ფილოსოფიის და ეკონომიკისა და სამართლის განყოფილებათა დღევანდელი სხდომები.

ისტორიისა და ფილოსოფიის განყოფილების სესია გახსნა აკადემიკოსმა ი. ი. მინცმა.

მოხსენება თემაზე: „მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები მეცნიერების ისტორიის შემუშავების შესახებ“ გააკეთა ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორმა პროფესორმა ვ. მ. კედროვმა.

შემდეგ მოსმენილ იქნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტის ა. ა. მაქსიმოვის მოხსენება „ლენინი და ბუნებისმეტყველება“. ლენინს როგორც ისტორიკოს-ეკონომისტს მიუძღვნა თავისი სიტყვა ვ. კ. იაცუნსკიმ.

ეკონომიკისა და სამართლის განყოფილების სხდომაზე ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორმა ა. ი. პაშკოვმა გააკეთა მოხსენება თემაზე: „ვ. ი. ლენინის ნაშრომი „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“ და მისი ადგილი რუსული ეკონომიური აზროვნების ისტორიაში“. პროფესორ ნ. ა. ცაგოლოვის მოხსენება მიეძღვნა რუსეთში ბურჟუაზიულ-აგრარული ევოლუციის ორი ტიპის გარშემო იდეური ბრძოლის სათავეებს.

* * *

შედგა აგრეთვე ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა განყოფილების სხდომა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ს. ი. ვავილოვმა. აქ მოსმენილ იქნა აკადემიკოს ვ. ი. სმირნოვის, მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტების ბ. ნ. დელონის, ვ. ა. ამბარცუმიანის, პროფესორ ნ. ი. იდელსონის მოხსენებანი თემებზე: „ა. მ. ლიაპუნოვის ცხოვრება და მოღვაწეობა“, „ნ. ი. ლობაჩევსკის გეომეტრია და ზოგიერთი მისი გამოყენება“, „ნ. ი. ლობაჩევსკი — ასტრონომი“ და სხვ.

ჩვენი ქვეყნის მეცნიერების პრიორიტეტთან, მის კორიფეთა უდიდეს აღმოჩენებთან დაკავშირებული მთელი რიგი საინტერესო მოხსენებანი მოისმინეს ტექნიკურ, გეოლოგია-გეოგრაფიის მეცნიერებათა და სხვა განყოფილებების სხდომათა მონაწილეებმა.

### 6 იანვრის პლენარული სხდომა

მეცნიერებათა აკადემიის კონფერენც-დარბაზში საღამოს შედგა სესიის პლენარული სხდომა. მოხსენება ჩვენი ქვეყნის ველებში ტყის გაშენებისათვის ბრძოლის ისტორიის შესახებ გააკეთა აკადემიკოსმა ვ. ნ. სუკაჩოვმა.

— მსოფლიო ისტორია, — განაცხადა მომხსენებელმა, — არ იცნობს ბუნების გარდაქმნის ისეთ გრანდიოზულ ცდას, როგორიც დასახულია მინდორსაცავი ტყის ზოლების შესახებ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ისტორიული დადგენილებით. ამხანაგ სტალინის ინიციატივით მიღებული ამ დიადი გეგმის ამოცანაა ბუნების გეგმაშეწონილი გარდაქმნისა და ჩვენს ველებში დამღუპველი მშრალი ქარის და გვალვის დაძლევის გზით სოციალისტური სოფლის მეურნეობის აყვანა უმაღლეს საფეხურზე.

შემდეგ აკადემიკოსმა ილაპარაკა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მიერ დასახულ კომპლექსურ საექსპედიციო და სტაციონარულ სამუშაოებზე, რომლებმაც მეცნიერული დახმარება უნდა გაუწიონ მინდორსაცავი ტყის ზოლების გაშენებას.

მეცნიერებათა აკადემია ფართოდ გააჩაღებს კვლევითს და საკონსულტაციო მუშაობას იმ საკითხთა მთელ კომპლექსზე, რომლებიც დაკავშირებულია სახელმწიფო ტყესაცავი ზოლების და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიწებზე მინდორსაცავი ტყის ზოლების ქსელის დაპროექტებასა და შექმნასთან.

უკვე 1949 წელს იმ რაიონებში, სადაც მინდორსაცავი ტყის ზოლები უნდა გაშენდეს, მოეწყობა აკადემიის მთელი რიგი სტაციონარული სამეცნიერო-საკვლევი პუნქტები, რომელთა ამოცანაა სამუშაოთა გრანდიოზული გეგმის განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხთა ღრმა და სისტემატური შესწავლა და გადაჭრა. მეცნიერი მუშაკები აგრეთვე მთელ რიგ ადგილებში აღნუსხავენ ბუნების თანამედროვე პირობებს, რათა შემდეგ გამორკვეულ იქნას ის ცვლილებანი, რომლებსაც ველებში ბუნების გარდაქმნა გამოიწვევს.

აკადემიკოს ვ. ვ. პოლინოვის ავადმყოფობის გამო მისი მოხსენება ბუნების მეტყველებასა და სოფლის მეურნეობაში ვ. ვ. დოკუჩაევისა და ვ. რ. ვილიამსის როლის შესახებ წაიკითხა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა-კორესპონდენტმა ი. ვ. ტიურინმა.

პლენარულ სხდომაზე მოსმენილ იქნა აგრეთვე მოხსენებანი: აკადემიკოს ა. ა. გრიგორიევისა — „გეოგრაფიის მეცნიერება სსრ კავშირში“ და აკადემიკოს ლ. ს. ბერგისა — „ადრინდელი გეოგრაფიული გამოკვლევანი რუსეთში“.

**ხვალ სესია მუშაობას განაგრძობს.**

ვ. ი. ლენინის გარდაცვალების 25-ე წლისთავისათვის

# ლენინი შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების შესახებ

მალე 25 წელი შესრულდება მას შემდეგ, რაც შეწყდა უდიდესი მებრძოლისა და მოაზროვნის, ბოლშევიკური პარტიის ორგანიზატორისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ვ. ი. ლენინის სიცოცხლე. ლენინის გარდაცვალების შემდეგ ძეოთხედმა საუკუნემ განვლო ახალი, კომუნისტური საზოგადოების შექმნის შესახებ მისი ანდერძის განუხრელად შესრულების ნიშნით. ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით, ლენინის საქმის დიდი განმგრძობის ამხანაგ სტალინის მეთაურობით, საბჭოთა ხალხმა ააგო კომუნიზმის პირველი ფაზის შენობა — სოციალიზმი; იგი მტკიცედ მიდის სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმზე თანდათანობით გადასვლის გზით.

ამ პირობებში უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მშრომელთა კომუნისტურ აღზრდას, განსაკუთრებით შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების, როგორც საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების გადიდების, პროდუქტებისა და მოხმარების საგნების სიუხვის შექმნის პირობის, დანერგვას.

* * *

ჩვენს ქვეყანაში ძლევამოსილი სოციალისტური რევოლუციის განხორციელებისთანავე ვ. ი. ლენინმა დააყენა შრომისადმი ახალი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდის საკითხი. სოციალისტურ მშენებლობაში მშრომელთა შეგნებულ და აქტიურ მონაწილეობაზე დამყარებული შრომის სოციალისტური დისციპლინის შექმნა ლენინს მიაჩნდა პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს, ძირითად ამოცანად. ცნობილ ნაწარმოებში „საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები" ვლადიმერ ილიას-ძე წერდა, რომ პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ პირველ პლანზე დგას „კაპიტალიზმზე უფრო მაღალი საზოგადოებრივი წყობის შექმნის ძირითადი ამოცანა, სახელდობრ: შრომის ნაყოფიერების გადიდება, ხოლო ამასთან დაკავშირებით (და ამისათვის) მისი უმაღლესი ორგანიზაცია". (თხზ., ტომი, XXII, გვ. 453).

კაპიტალისტებისა და მემამულეების ბატონობის დამხობამ და მუშათა კლასის დიქტატურის დამყარებამ გაათავისუფლა მშრომელები მძიმე იძულებითი შრომისაგან. სხვებისთვის, ექსპლოატატორებისათვის მრავალი ასეული წლობით მუშაობის შემდეგ მშრომელმა ხალხმა პირველად მიიღო იმის შესაძლებლობა, რომ თავისთვის ემუშავნა. მაგრამ, ლენინის სიტყვით, კაცობრიობის ისტორიაში იძულებითი შრომის ეს შეცვლა თავისთვის, თავისი სახელმწიფოსათვის შრომით არ შეიძლებოდა მომხდარიყო სწრაფად, უსიძნელეებოდ, ძველი საზოგადოებისაგან მემკვიდრეობით მიღებულ ტრადიციათა და ჩვეულებათა წინააღმდეგ სერიოზული ბრძოლის გაუწევლად. ათეულმილიონობით ადამიანთა ხელახალი აღზრდისათვის, გვასწავლიდა ლენინი, მათ შეგნებაში იმ ჩვეულების ამოფხვრისათვის, რომ შრომას დამონებული ადამიანის თვალსაზრისით უყურებდე, საჭიროა მთელი ისტორიული ეპოქა.

მშრომელი მასების ულმობელ ექსპლოატაციასა და ძარცვაზე დამყარებულ კაპიტალისტურ საზოგადოებაში იძულებითი შრომა უნერგავს ადამიანს მისწრაფებას რაც შეიძლება მეტი წაიღოს თავისთვის და ნაკლები მისცეს მეპატრონეს. შრომისადმი ასეთი დამოკიდებულება ბუნებრივი და აუცილებელია იქ, სადაც შრომას კერძო, პირადი ხასიათი აქვს.

საბჭოთა წყობილების პირობებში, მას შემდეგ, რაც წარმოების საშუალებანი თვითონ სოციალისტურ სახელმწიფოდ ორგანიზებულ მშრომელთა კუთვნილება გახდა, მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვალა. თვითეული ადამიანის შრომას საზოგადოებრივი მნიშვნელობა მიენიჭა. თვითეული ადამიანის ორგანიზებულ და მაღალნაყოფიერ შრომაზე დამოკიდებულია მთელი საზოგადოების კეთილდღეობა. ამიტომ ლენინი მოგვიწოდებდა — განუწყვეტლივ ვიმუშაოთ, რათა მასების შეგნებაში, ყოველდღიურ ცხოვრებაში დავნერგოთ წესი: „ყველა ერთისათვის და ერთი ყველასთვის", შემოვიღოთ თანდათანობით, მაგრამ განუხრელად კომუნისტური დისციპლინა, დავნერგოთ შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულება. კომუნიზმი, გვასწავლიდა ლენინი, იწყება იქ, სადაც ჩნდება რიგითი მუშების ზრუნვა თვითეული ფუთი პურის, ქვანახშირის, რკინის დაცვისათვის, რომელიც წილად ხვდება არა პირადად მას, ვინც მუშაობს, არამედ მთელ საზოგადოებას.

ლენინი აღნიშნავდა, რომ კომუნისტური საზოგადოების განვითარებაში არის ორი ფაზა: დაბალი—სოციალიზმი და მაღალი — კომუნიზმი. სოციალიზმის დროს საწარმოო ძალები იმდენად განვითარებული არაა და შრომა ჯერ კიდევ არ გამხდარა საზოგადოების ყველა წევრთა პირველი მოთხოვნილება. ამ პირობებში საჭიროა საზოგადოება და სახელმწიფო ეწეოდნენ ზუსტ აღრიცხვას, კონტროლსა და მეთვალყურეობას უწევდნენ შრომის ოდენობას და მოხმარების ოდენობას.

მხოლოდ ყოვლისმომცველ, უნივერსალურ აღრიცხვასა და კონტროლს, გვასწავლიდა ლენინი, შეუძლია უზრუნველყოს, რომ მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობა ჩაბმულ იქნას საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში და განხორციელდეს სოციალიზმის პირველი პრაქტიკული მცნება: „ვინც არ მუშაობს, ნურც ჭამს". ლენინი მოუწოდებდა ყველა პატიოსან შრომელს ყოველმხრივ დახმარებოდა სახელმწიფოს აღრიცხვისა და კონტროლის მოგვარებაში, რათა თავიდან მოეშორებინა მუქთახორები, ხულიგნები, ცუღლუტები და თაღლითები, რომელნიც კაპიტალიზმის ტრადიციებისა და ნაშთების ყველაზე უარესი მატარებელნი არიან.

ჩვენმა საზოგადოებამ უკვე მიაღწია იმას, რომ საბჭოთა ადამიანების დიდი უმრავლესობა სოციალისტური მშენებლობის აქტიური და შეგნებული მონაწილეა. სოციალისტური საზოგადოების კეთილდღეობისათვის თავდადებით მომუშავე მოწინავე ადამიანებს უკვე შეგნებულად მიჰყვება სსრ კავშირის მშრომელთა დიდი უმრავლესობა. მაგრამ ჩვენში კიდევ მოიპოვებიან წვრილბურჟუაზიული ჩვეულებით დაავადებული ჩამორჩენილი ადამიანები. ისინი პირად ინტერესებს უპირისპირებენ სახელმწიფოს და საზოგადოების ინტერესებს, ცდილობენ, რაც შეიძლება მეტი წაგლიჯონ თავისთვის სახელმწიფოს თუ კოლმეურნეობას და სხვა რამეს კი არ დაუძებენ. ამიტომ ახლაც საჭიროა სერიოზული ღონისძიებანი შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის და იმისათვის, რომ ყველა მშრომელს ჩავუნერგოთ შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულება.

ლენინი და სტალინი გვასწავლიან, რომ სოციალიზმი შრომით შენდება. სოციალიზმი და შრომა ერთმანეთისაგან განუყოფელია. ლენინი მოითხოვდა სასტიკად დაესაჯათ ისინი, ვინც თავს არიდებს წმიდათა წმიდა მოვალეობის შესრულებას — საზოგადოებისა და სახელმწიფოსათვის შრომას.

ამავე დროს ლენინი აღნიშნავდა, რომ საჭიროა ყოველმხრივ წავახალისოთ კარგად მომუშავენი, უკეთესი შრომისათვის მეტი ხელფასი გაძლიოთ, დავაჯილდოოთ ისინი, ვინც განსაკუთრებით გამოიჩენს თავს შრომაში, დიდი ყურადღებითა და პატივისცემით მოვეპყრათ მათ. ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა სახელმწიფო განუხრელად ასრულებენ ლენინის ბრძნულ მითითებებს. სოციალისტური მეურნეობის და კულტურის საუკეთესო მშრომელთათვის სტალინური პრემიების ყოველწლიურად მინიჭება, სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭება, ორდენებითა და მედლებით დაჯილდოება, — ყოველივე ეს მოწმობს, თუ რა სიმაღლეზე აიყვანა საბჭოთა ხელისუფლებამ ადამიანები, რომლებიც თავიანთ პატიოსანი შრომით ამრავლებენ სოციალისტური სამშობლოს სიმდიდრეს, განამტკიცებენ მის ძლიერებას.

სოციალისტური შეგნებულობისა და შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების დანერგვაში ლენინი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა მასებში შემოქმედებითი თაოსნობის, მუშაობის ინიციატივის, თვითმოქმედების განვითარებას. ლენინი მიგვითითებდა, რომ მასების სოციალისტური შეჯიბრება სოციალიზმის მშენებლობაში მშრომელთა უაღრესად ფართოდ მიზიდვის, მუშათა და გლეხთა ნიჭისა და უნარის გამოვლინების ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა.

ლენინი ულმობლად ამხილებდა ბურჟუაზიის იდეოლოგთა თავიდან ბოლომდე ყალბ მონაჭორს, თითქოს სოციალიზმი შეჯიბრებას აქრობდეს. „სინამდვილეში კი,—წერდა ლენინი, — მხოლოდ სოციალიზმი, სპობს რა კლასებს და, მაშასადამე, მასების დამონებას, პირველად უხსნის გზას ნამდვილად მასობრივი მასშტაბით შეჯიბრებას" (თხზ., ტომი, XXII, გვ. 455).

სსრ კავშირში სოციალისტური მშენებლობის გამოცდილებამ შესანიშნავად დაადასტურა ლენინის ეს ბრძნული სიტყვები. სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც ამხანაგ სტალინის განმარტებით სოციალიზმის მშენებლობის კომუნისტური მეთოდია, უკვე გახდა ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელთა კუთვნილება. ახლა უკვე აღარ არის და არც უნდა იყოს ისეთი ფაბრიკა-ქარხნები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც შეჯიბრებაში არ მონაწილეობდნენ.

ჩვენში უფრო და უფრო მრავლდება მათი რიცხვი, ვინც თავის მუშაობას მეტ ჭკუასა და ნიჭს ახლის და რომლისაც შრომა მიაჩნია არა მარტო მოვალეობად, არამედ შემოქმედებით საქმიანობის მოთხოვნილებად. უწინარეს ყოვლისა ასეთი ადამიანები არიან სტახანოველები, მოწინავენი მრეწველობაში, ტრანსპორტზე, სოფლის მეურნეობაში.

ახასიათებდა რა კომუნისტურ შრომას „ამ სიტყვის უფრო ვიწრო და ზუსტი გაგებით", ლენინი წერდა, რომ ეს არის „უფასო შრომა საზოგადოების სასარგებლოდ, შრომა, რომელიც სრულდება არა გარკვეული ბეგრის მოსახდელად, არა გარკვეული პროდუქტების მიღების უფლების მოსაპოვებლად, სრულდება არა წინასწარ დადგენილი და დაკანონებული ნორმების თანახმად, არამედ შრომა ნებაყოფლობითი, შრომა უნორმებოდ, შრომა, რომელსაც ეწევიან ანაზღაურების გაუთვალისწინებლად, ანაზღაურების პირობის დაუდებლად, შრომა გამოწვეული ჩვეულებით — ვიმუშაოთ საზოგადო სარგებლობისათვის და შეგნებული (ჩვეულებად გამხდარი) დამოკიდებულებით საზოგადო სარგებლობისათვის შრომის აუცილებლობისადმი,—ეს არის შრომა, როგორც ჯანსაღი ორგანიზმის მოთხოვნილება" (თხზ., ტომი, XXV, გვ. 151).

ფართო მასშტაბით ასეთი შრომა იქნება მხოლოდ კომუნიზმის დროს, როცა იგი იქნება არა მარტო ცხოვრების საშუალება, არამედ გახდება საზოგადოების თვითეული წევრის ჩვეულება. მაგრამ მეტი წილი საბჭოთა ადამიანისათვის შრომა უკვე გახდა ღირსების საქმე, სახელის საქმე, სიმამაცისა და გმირობის საქმე. ამას მოწმობს სიღრმე და მასშტაბი სოციალისტური შეჯიბრებისა, რომელიც გაჩაღებულია ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის, საწარმოთა რენტაბელური მუშაობისათვის და მრეწველობის ზეგეგმითი დაგროვებისათვის, უხვი მოსავლისათვის, მეცხოველეობის ზრდისათვის და სხვ. ამხანაგ სტალინის სახელზე გაგზავნილ მრავალ წერილში მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და კოლმეურნეები იუწყებიან, რომ მათ შესანიშნავი შრომითი წარმატებანი მოიპოვეს შემოქმედებითი შრომის ფრონტზე.

ამხანაგმა მოლოტოვმა მოხსენებაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 30-ე წლისთავის შესახებ თქვა: „შეჯიბრების ფართო გაქანება და შინაარსი განსაზღვრავენ ახლა ყველგან საბჭოთა ადამიანების შორის შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების დონეს".

ლენინის გარდაცვალების შემდეგ განვლილ მეოთხედ საუკუნეში ბოლშევიკების პარტიამ ამხანაგ სტალინის მეთაურობით უდიდეს წარმატებას მიაღწია სოციალისტური შრომის დისციპლინის სულისკვეთებით, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით მასების აღზრდაში. უწინარეს ყოვლისა ამას მოწმობენ სოციალისტური მშენებლობის წარმატებანი ჩვენს ქვეყანაში. საკმარისია გავიხსენოთ, რომ ომისწინა სტალინური ხუთწლედები არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც სრულდებოდა.

მეურნეობის სოციალისტური სისტემისა და შრომის სოციალისტური ორგანიზაციის დიდი უპირატესობათა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია სსრ კავშირში შრომის ნაყოფიერების უმაღლესი ზრდა. საკმარისია ითქვას, რომ 1928-1940 წლებში შრომის ნაყოფიერება საბჭოთა კავშირის მრეწველობაში 3,5-ჯერ გაიზარდა. ჩვენს სოციალისტურ მიწათმოქმედებაში შრომის ნაყოფიერება ბევრად აღემატება რევოლუციამდელ გლეხურ ერთპიროვნულ მეურნეობათა შრომის ნაყოფიერებას.

დიადი და სასიხარულოა საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი შრომის მაჩვენებლები ომისშემდგომ პერიოდში. მთელ ჩვენს ქვეყანაში წარმატებითი ბრძოლაა გაჩაღებული ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის. სოციალისტური სოფლის მეურნეობის მშრომელებმა დაძლიეს მტრის ოკუპაციისა და 1946 წლის უმაგალითო გვალვის შედეგები. 1948 წელს მარცვლეული კულტურების საერთო მოსავალმა უკვე მიაღწია ომამდელ 1940 წლის დონეს, ამასთან მარცვლეული კულტურების მოსავლიანობამ გადააჭარბა ომამდელ 1940 წლის მოსავლიანობას.

მუშათა კლასისა და გლეხობის მასებში უმაღლესი შრომითი აღმავლობა, სოციალისტური შეჯიბრების უფრო და უფრო ფართო გაქანება ცხადყოფენ, რომ საბჭოთა ხალხი გამსჭვალულია დაუცხრომელი მისწრაფებით — დააჩქაროს ჩვენი საზოგადოების სვლა კომუნიზმისაკენ. 1948 წელს წარმოიშვა პატრიოტთა ახალი შესანიშნავი მოძრაობა — მოძრაობა შინარეზერვების მობილიზაციისათვის, საწარმოთა რენტაბელური მუშაობისა და ზეგეგმითი დაგროვებისათვის. ჩვენი დედაქალაქის მოსკოვის მშრომელთა ინიციატივით დაწყებული ეს მოძრაობა მოედო ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რაიონის ათასობით საწარმოს. მოსკოვის მრეწველობის მუშაკებმა დეკემბრის დამდეგს უპატაკეს ამხანაგ სტალინს, რომ ვადამდე შესრულებულია 1948 წლის სახელმწიფო გეგმა და უზრუნველყოფილია 2 მილიარდი მანეთი ზეგეგმითი დაგროვების მიღება.

კომუნიზმის მშენებლობის ამოცანები სულ ახალ და ახალ მოთხოვნებს უყენებენ საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელს. ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად, რადგან შრომის ნაყოფიერება, როგორც ლენინი გვასწავლიდა, საბოლოო ანგარიშით ყველაზე მნიშვნელოვანი და ყველაზე მთავარია კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

ამხანაგმა სტალინმა გრანდიოზული ამოცანა დაუსახა საბჭოთა ხალხს: დაეწიოს და გაუსწროს მთავარ კაპიტალისტურ ქვეყნებს ეკონომიური მხრივ, ესე იგი ერთ სულ მოსახლეზე სამრეწველო წარმოების ოდენობის მხრივ. ამოცანის უწინარეს ყოვლისა საჭიროა გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება, რადგან „რაც უფრო მაღალი იქნება ჩვენში შრომის ნაყოფიერება, რაც უფრო გაუმჯობესდება ჩვენში წარმოების ტექნიკა, მით უფრო მალე შევძლებთ ამ უმნიშვნელოვანესი ეკონომიური ამოცანის შესრულება, მით უფრო მეტად შევძლებთ ამ ამოცანის შესრულების ვადების შემცირება" (ი. სტალინი. „ლენინიზმის საკითხები", გვ. 718).

სსრ კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანის გადაწყვეტით ჩვენი ხალხი შრომის ნაყოფიერებას აიყვანს სოციალისტური საზოგადოების შესაფერის დონეზე, და, ამრიგად, უზრუნველყოფს მატერიალურ პირობებს უმაღლეს ფაზაზე — კომუნიზმზე გადასასვლელად. კომუნიზმზე გადასვლის ერთ-ერთი გადამწყვეტი წინაპირობაა აგრეთვე მუშათა კლასის, ყველა მშრომელთა კულტურულ-ტექნიკური დონის, როგორც გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის წინააღმდეგობის ლიკვიდაციის საფუძვლის, ამაღლება ინჟინერ-ტექნიკური შრომის მუშაკთა დონემდე.

სტახანოვური ნიმუშები მუშაობაში, შრომისადმი შეგნებული დამოკიდებულება, საწარმოო დავალებათა შესრულებაში მაღალი მაჩვენებლები ქალაქისა და სოფლის ყველა მშრომელთა კუთვნილება უნდა გახდეს.

პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, პროფკავშირებმა და კომკავშირმა დიდი მუშაობა უნდა გასწიონ, რათა მასებს ჩაუნერგონ შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულება.

კომუნიზმის მშენებლობის ამოცანები მოითხოვენ, რომ ყველამ დაიცვას მტკიცე შრომის დისციპლინა, იშრომოს კეთილსინდისიერად და პატიოსნად თავისი ძალებისა და უნარის მიხედვით. 1933 წელს ამხანაგმა სტალინმა დნეპროპეტროვსკის ოლქის კოლმეურნეთა მიღებაზე თქვა, რომ თუ ყველა კოლმეურნე, —ყველა და არა მხოლოდ უმრავლესობა,—იმუშავებს პატიოსნად, — კოლმეურნეობებს თავსაყრელად ექნებათ ყოველგვარი პროდუქტი და ჩვენი ქვეყანა მსოფლიოში ყველაზე მდიდარი ქვეყანა იქნება. ეს თანაბრად ეხება სოციალისტური მეურნეობის ყველა სხვა დარგის მუშაკებსაც.

აღვზარდოთ საბჭოთა ადამიანები სოციალისტური შრომის დისციპლინის სულისკვეთებით, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით, — ეს იმას ნიშნავს, რომ შევასრულოთ ვ. ი. ლენინის ერთ-ერთი დიადი ანდერძი.

**ს. ტიტარენკო.**

## სსრ კავშირის სლავთა კომიტეტში

სსრ კავშირის სლავთა კომიტეტმა ახალი წლის გამო მისალოცი დეპეშები მიიღო მთელი რიგი უცხო ქვეყნების დემოკრატიული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან.

ჩეხოსლოვაკიის სლავთა კომიტეტის სახელით კომიტეტის თავმჯდომარე ზ. ნეედლი გულითად მილოცვას უგზავნის სსრ კავშირის სლავთა კომიტეტს და წარმატებებს უსურვებს მუშაობაში.

ჩეხოსლოვაკია — საბჭოთა კავშირის მეგობრობის კავშირის ცენტრალურმა სამდივნომ გამოგზავნა შემდეგი შინაარსის მისალოცი დეპეშა: „1949 წლის მიჯნაზე გულითად სალამს ვუძღვნით მთელ საბჭოთა ხალხს და შემდგომ აყვავებას ვუსურვებთ თქვენს შესანიშნავ ქვეყანას".

პოლონეთის სლავთა კომიტეტის დეპეშაში ნათქვამია: „გულითადად მოგილოცავთ ახალ წელს და გისურვებთ უფრო უკეთეს მიღწევებს სსრ კავშირის სლავთა კომიტეტის ყოველდღიურ მუშაობაში, აგრეთვე მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიულ ხალხთა შორის მეგობრობის შემდგომი განმტკიცებისათვის წარმოებულ მის მუშაობაში".

სოფიიდან მიღებულ დეპეშაში, რომელსაც ხელს აწერს ბულგარეთის სლავთა კომიტეტის თავმჯდომარე ი. პაშევი, ნათქვამია: „ბულგარეთის სლავური საზოგადოებრიობა და მთელი ბულგარელი ხალხი უდიდესი სიხარულისა და კმაყოფილების გრძნობით აღნიშნავენ, რომ წლითიწლობით იზრდება და მტკიცდება ჩვენი ხალხის მეგობრობა დიდი საბჭოთა კავშირის გმირ ხალხთან, ამაყობენ ამ მეგობრობით და მასში ხედავენ ჩვენი სამშობლოს მომავალი ყოველმხრივი განვითარების საწინდარს.

გაუმარჯოს დიდ საბჭოთა კავშირს—მშვიდობის ბურჯს!

გაუმარჯოს ყველა ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დამცველს დიდ სტალინს!" (საკდესი).

## ჩვენი ქვეყნის პირველობა ჰოკეიში

6 იანვარს მოსკოვში „დინამოს" სტადიონზე ჰოკეიში საბჭოთა კავშირის პირველობაზე გამართული მორიგი მატჩის დროს ერთმანეთს შეხვდნენ ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის „ცდკა"-ს გუნდი და „დინამოს" დედაქალაქის გუნდი. ჰოკეის ოსტატთა თამაშს დაესწრო 20 ათასზე მეტი მაყურებელი.

ეს უაღრესად საინტერესო მატჩი იყო ამ სეზონში. მატჩმა ჩაიარა დაძაბული და მწვავე ბრძოლით, მხარეებს სწრაფი იერიშები მიჰქონდათ ერთმანეთის წინააღმდეგ.

თამაში დამთავრდა ანგარიშით 2:2.

6 თამაშის შემდეგ ჰოკეიში პირველობის გათამაშებაში შემდეგი მდგომარეობაა: პირველი ადგილი უკავია „ცდკა"-ს გუნდს—11 ქულა, მეორე ადგილი—სამხედრო-საჰაერო ძალების გუნდს—10 ქულა, მესამე—„დინამოს" (მოსკოვი)—9 ქულა. (საკდესი).

# პარტიულ კონფერენციებზე

## ქუთაისი

ქუთაისის IV რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა რაიკომის მდივანი ამხ. ლ. გაბრიაძე.

— პარტიის რაიკომი, — თქვა მან, — საანგარიშო პერიოდში მთავარ ყურადღებას უთმობდა კომუნისტების პოლიტიკური აღზრდის საქმეს.

პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით სოფლის მეურნეობის ზოგიერთ დარგში თვალსაჩინო წარმატებებია მოპოვებული. გადაჭარბებით შესრულდა ჩაის კრეფის, ვენახის მოსავლიანობის, მეცხოველეობის განვითარების 1948 წლის დავალებანი.

მომხსენებელმა დაწვრილებით ილაპარაკა მტს-ის, ბარიტის მაღაროების, ეკლარის ქვის კარიერების, სამრეწველო კომბინატის და სხვა საწარმო-დაწესებულებათა მუშაობაზე.

კონფერენციამ რაიკომის განვლილი მუშაობა შეაფასა დამაკმაყოფილებლად და პოლიტიკური ხაზი ცნო სწორად.

რაიკომის პლენუმმა პირველ მდივნად აირჩია ამხ. ლ. გაბრიაძე, მეორე მდივნად — ამხ. ს. რუხაძე, მდივნად კადრების დარგში — ამხ. ა. ფურცხვანიძე.

კონფერენციისა და პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი ამხ. კ. თარგამაძე. (საკ. კორ.).

## ცხაკაია

შედგა ცხაკაიას რაიონული პარტიული კონფერენცია, რომელზეც საანგარიშო მოხსენება გააკეთა რაიკომის მდივანმა ამხ. ვ. გუგუნავამ.

— საანგარიშო პერიოდში, — განაცხადა მომხსენებელმა,—რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის გაუმჯობესების შედეგად მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს. გადაჭარბებით იქნა შესრულებული ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის, ციტრუსებისა და ტუნგის ნაყოფის დამზადების გეგმები. გადიდდა მოწინავე საწარმოთა რიცხვი. სერიოზული მუშაობა ჩატარდა ზეგეგმითი დაგროვების მისაღებად.

კონფერენციამ რაიკომის პოლიტიკური ხაზი ცნო სწორად და პრაქტიკული მუშაობა დამაკმაყოფილებლად.

რაიკომის პლენუმმა რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. ვ. გუგუნავა, მეორე მდივნად—ამხ. კ. შარტავა, მდივნად კადრების დარგში—ამხ. ა. ძაძამია.

კონფერენციისა და პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მსუბუქი მრეწველობის განყოფილების გამგე ამხ. გრ. ქარჩავა. (საკ. კორ.).

## გეგეჭკორი

გეგეჭკორის რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე საანგარიშო მოხსენება გააკეთა რაიკომის მდივანმა ამხ. პ. კორთხონჯიამ.

კონფერენციამ რაიკომის პოლიტიკური ხაზი ცნო სწორად და პრაქტიკული მუშაობა — დამაკმაყოფილებლად.

შედგა ახლადარჩეული რაიონული კომიტეტის პლენუმი. პლენუმმა რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. დ. ჯანჯღავა, მეორე მდივნად — ამხ. ვ. ბეჟვაია, მდივნად კადრების დარგში — ამხ. კ. ხაინდრავა.

კონფერენციისა და პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების განყოფილების გამგემ ამხ. კ. ჭიჭინაძემ. (საკ. კორ.).

## ხულო

პარტიის ხულოს რაიკომის მდივანმა ამხ. ვ. ტრაპაიძემ თავის საანგარიშო მოხსენებაში პარტკონფერენციაზე გააშუქა რაიონის მშრომელთა მიერ მოპოვებული წარმატებანი სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის, საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისათვის ბრძოლის საქმეში.

— რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა,—ამბობს შემდეგ მომხსენებელი,—სერიოზული მუშაობა გასწიეს კომუნისტების იდეური დონის ამაღლებისათვის. საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელ წრეებში 146 კომუნისტია გაერთიანებული, პოლიტსკოლებში—252, ბელადების ბიოგრაფიების შემსწავლელ წრეებში—330. 320 კომუნისტი წიგნზე დამოუკიდებელი მუშაობით ეუფლება რევოლუციურ თეორიას.

კონფერენციამ რაიკომის პოლიტიკური ხაზი ცნო სწორად და პრაქტიკული მუშაობა — დამაკმაყოფილებლად.

შედგა რაიკომის პლენუმი, რომელმაც რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. ვ. ტრაპაიძე, მეორე მდივნად — ამხ. ა. ბერიძე, მდივნად კადრების დარგში—ამხ. გ. მოისწრაფიშვილი.

კონფერენციისა და პლენუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის მდივნები ამხ. კ. ბიჭვაია და ამხ. ნ. ნიჟარაძე. (საკ. კორ.).

## ახალციხე

ახალციხის რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე საანგარიშო მოხსენება გააკეთა რაიკომის მდივანმა ამხ. ი. ძებისაშვილმა.

— ამ ბოლო დროს, — თქვა მან, — გაუმჯობესდა ხელმძღვანელობა სოფლის მეურნეობისა და მრეწველობისადმი, მაგრამ ამ დარგში მაინც სერიოზული ნაკლოვანებებია. 1948 წელს არ შესრულებულა მარცვლეულის მოსავლიანობის ზრდისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის გეგმები.

მომხსენებელი ვრცლად აშუქებს საკოლმეურნეო მშენებლობის განვითარების, სოფლების კეთილმოწყობის, პარტიულ-პოლიტიკური და სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის დარგში მიღწეულ წარმატებებს და მომავალ ამოცანებს.

კონფერენციამ რაიკომის განვლილი მუშაობა ცნო დამაკმაყოფილებლად, ხოლო პოლიტიკური ხაზი—სწორად, აირჩია რაიონული კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის შემადგენლობა და საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის დელეგატები.

შედგა ახლადარჩეული რაიონული კომიტეტის პლენუმი, რომელმაც რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. ი. ძებისაშვილი, მეორე მდივნად—ამხ. ზ. ახვლედიანი, მდივნად კადრების დარგში—ამხ. ვ. კავაძე.

კონფერენციისა და პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო გაზეთ „კომუნისტის" პასუხისმგებელმა რედაქტორმა ამხ. ბ. ნანიტაშვილმა. (საკ. კორ.)

## გურჯაანი

—საანგარიშო პერიოდში, — თქვა გურჯაანის რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე რაიკომის მდივანმა ამხ. ი. ფეიქრიშვილმა, — რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა სერიოზული მუშაობა გასწიეს პოლიტიკური და სამეურნეო ამოცანებს წარმატებით გადაჭრისათვის; შესამჩნევად გაიზარდა კომუნისტთა იდეურ-პოლიტიკური მომზადების დონე, მათი ორგანიზატორული როლი. ამის შედეგია, რომ რაიონის მშრომელებმა მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გეგმების შესრულების საქმეში. ერთიორად გაიზარდა მარცვლეული კულტურებისა და ყურძნის მოსავლიანობა.

კონფერენციამ რაიკომის მუშაობა ცნო დამაკმაყოფილებლად, პოლიტიკური ხაზი — სწორად და მიიღო სათანადო რეზოლუცია.

ფარული (დახურული) კენჭისყრით არჩეულ იქნა რაიკომისა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა და საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის დელეგატები.

შედგა რაიკომის პლენუმი, რომელმაც რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. ი. ფეიქრიშვილი, მეორე მდივნად — ამხ. დ. მახარაშვილი, მდივნად კადრების დარგში—ამხ. ს. ქაჩლიშვილი.

კონფერენციისა და პლენუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. ი. კოჭლამაზაშვილი. (საკ. კორ.).

## დუშეთი

დუშეთის რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა რაიკომის მდივანი ამხ. ვ. ტოგონიძე.

— საანგარიშო პერიოდში, — თქვა მომხსენებელმა, — რაიონის კოლმეურნეობებმა პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით სერიოზული წარმატებები მოიპოვეს უხვი მოსავლისა და საკოლმეურნეო მეცხოველეობის აღმავლობისათვის ბრძოლის საქმეში. წელს რაიონში გაცილებით მეტი მოსავალი იქნა მიღებული, ვიდრე შარშან, გადაჭარბებით შესრულდა მეცხოველეობის სულადობის ზრდისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების სახელმწიფო გეგმები.

მომხსენებელმა ილაპარაკა პარტიულ-პოლიტიკური და სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის ნაკლოვანებებზე და რაიონის პარტიული ორგანიზაციების მორიგ ამოცანებზე.

კონფერენციამ რაიკომის მუშაობა ცნო დამაკმაყოფილებლად, ხოლო პოლიტიკური ხაზი—სწორად.

შედგა ახლადარჩეული რაიკომის პლენუმი, რომელმაც რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. ვ. ტოგონიძე, მეორე მდივნად — ამხ. ა. შადური და მდივნად კადრების დარგში — ამხ. ნ. ბურდული.

კონფერენციისა და პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორი ამხ. მ. ბოჭორიშვილი. (საკ. კორ.).

# სახალხო სასამართლოების არჩევნების წინასაარჩევნო საოლქო თათბირებზე

## ლენინის რაიონის № 11 საარჩევნო ოლქში

პლეხანოვის სახელობის მუშათა კლუბში წინასაარჩევნო საოლქო თათბირზე შეიკრიბნენ ლენინის რაიონის სახალხო სასამართლოების არჩევნების № 11 საარჩევნო ოლქში შემავალ საწარმო-დაწესებულებათა კოლექტივების წარმომადგენლები.

ტრიბუნაზეა 26 კომისრის სახელობის ქარხნის დირექტორი ამხ. გ. კაკაბაძე. იგი ამბობს:

—ჩვენი ქარხნის, რკინიგზის მეოთხე სავაგონო უბნის და სხვა მრავალი საწარმოს და დაწესებულების მუშაკებმა სახალხო მოსამართლის კანდიდატად დაასახელეს სერგი ვარლამის-ძე გელაშვილი. ამხ. გელაშვილი ლენინის რაიონის მეოთხე უბნის სახალხო მოსამართლეა. მას რაიონის მშრომელები იცნობენ, როგორც გულისხმიერ მუშაკს, რომელიც მტკიცედ დგას საბჭოთა მართლმსაჯულების სადარაჯოზე. ამიტომ დამსწრე ამხანაგებს ვთხოვ მხარი დაუჭირონ ამხ. ს. გელაშვილის კანდიდატურას სახალხო მოსამართლის თანამდებობაზე.

სტალინის სახელობის ორთქლმავალვაგონსარემონტო ქარხნის მუშაკთა კოლექტივის სახელით ამხ. მ. კბილაძემ მხარი დაუჭირა სახალხო მოსამართლის კანდიდატად ამხ. ს. გელაშვილის დასახელებას. შემდეგ ამხ. კბილაძემ დაახასიათა სახალხო მსაჯულების კანდიდატებად დასახელებული ამხანაგები ნ. ჩაგილაშვილი, ნ. მიქაშავიძე და სხვები.

ამიერკავკასიის რკინიგზის მეოთხე სავაგონო უბნის უფროსმა ამხ. ა. მორჩილაძემ ილაპარაკა სახალხო მსაჯულების კანდიდატებად წამოყენებულ ა. ხუბულურის, ქ. მოსაშვილის, ც. მელაშვილის საქმიანობაზე.

სიტყვებით გამოვიდნენ 26 კომისრის სახელობის ქარხნის სამჭედლო საამქროს უფროსი ამხ. ვ. კაპატაძე, მშრომელთა დეპუტატების ლენინის რაიონული საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების გამგე ამხ. გ. გაბიჩვაძე, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს მუშაკთა კოლექტივის წარმომადგენელი ამხ. ლაბაძე, რაიონის სარემონტო კანტორის მუშაკთა წარმომადგენელი ამხ. თედიაშვილი, რაიაღმასკომის სავაჭრო განყოფილების გამგე ამხ. ლ. მირიანაშვილი და სხვ., რომლებმაც დაახასიათეს სახალხო მსაჯულების კანდიდატებად დასახელებული ამხანაგები გ. პაქსაშვილი, ქ. წიწვიაძე, ი. საძაგლიშვილი, ს. ჭოხონელიძე, ზ. ვეშაპური, ლ. ნაცვლიშვილი, ს. ჭკუასელი და სხვები.

სიტყვა ეძლევა სახალხო მოსამართლის კანდიდატს ამხ. ს. გელაშვილს.

— ლენინის რაიონის მშრომელებმა, — განაცხადა მან, — დიდი ნდობა გამომიცხადეს, როცა სახალხო მოსამართლის კანდიდატად დამასახელეს. ძალღონის დაუზოგავად ვიბრძოლებ იმისათვის, რომ გავამართლო ეს ნდობა.

თათბირმა ერთსულოვნად გადაწყვიტა მხარი დაუჭიროს სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულების დასახელებულ კანდიდატებს და მიიღო მიმართვა მე-11 საარჩევნო ოლქის ყველა ამომრჩევლისადმი.

## მოლოტოვის რაიონის № 13 საარჩევნო ოლქში

შედგა თბილისის მოლოტოვის რაიონის სახალხო სასამართლოების არჩევნების მე-13 საარჩევნო ოლქის წინასაარჩევნო თათბირი.

— ჩვენი რაიონის მშრომელთა წინასაარჩევნო კრებებზე, ამბობს ქალთა მე-18 საშუალო სკოლის დირექტორი ამხ. ე. აბგაროვა, — რომელიც ამ დღეებში ჩატარდა, სახალხო მოსამართლის კანდიდატად დაასახელეს ამხ. იპოლიტე ტარიელის-ძე გვათუა, რომელიც 14 წელია პროკურატურისა და სასამართლო ორგანოებში მუშაობს. ამხ. გვათუა რაიონის მოსახლეობაში დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს. ჩვენი კოლექტივის მუშაკთა წინასაარჩევნო კრების დავალებით წინადადება შემომაქვს მხარი დავუჭიროთ ამხ. ი. გვათუას კანდიდატურას.

ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის საბეჭდი საამქროს უფროსმა ამხ. ვ. ონეზაშვილმა წინადადება შეაქვს მხარი დაუჭირონ სახალხო მსაჯულების კანდიდატებს შ. ხოხიაშვილს, ნ. პაპუაშვილს და ი. ჩალაურს.

თბილისის 24-ე ქალთა საშუალო სკოლის დირექტორმა ამხ. ნ. იმედაძემ დაახასიათა სახალხო მსაჯულების კანდიდატებად დასახელებულნი, წარჩინებული მასწავლებლები ამხ. ქ. მუხურაძე, მ. ქველიძე, გ. ბაშალეიშვილი და წინადადება შეიტანა, რათა თათბირმა მხარი დაუჭიროს მათ.

დასასრულ თათბირზე სიტყვით გამოვიდა სახალხო მოსამართლის კანდიდატი ამხ. ი. გვათუა.

წინასაარჩევნო საოლქო თათბირმა ერთხმად დაადგინა მხარი დაუჭირონ სახალხო მოსამართლისა და სახალხო მსაჯულების დასახელებულ კანდიდატებს და მიიღო მიმართვა მე-13 საარჩევნო ოლქის ყველა ამომრჩევლისადმი.

## ბერიას რაიონის № 18 საარჩევნო ოლქში

ვოროშილოვის სახელობის კლუბის დარბაზში შედგა ქალაქ თბილისის ბერიას რაიონის სახალხო სასამართლოების არჩევნების მე-18 საარჩევნო ოლქის წინასაარჩევნო საოლქო თათბირი. თათბირი გახსნა რუსთაველის სახელობის თეატრის დირექტორმა ამხ. პ. მურღულიამ.

პირველი სიტყვა ეძლევა საქართველოს სს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს საშტატო სამმართველოს უფროსს ამხ. ა. ახუმოვს.

— რადიოქარხნის, საქართველოს სს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს, ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის კოლექტივებმა, — აღნიშნავს ორატორი, — № 18 საარჩევნო ოლქში სახალხო მოსამართლის კანდიდატად დაასახელეს ამხ. ალექსანდრე ლუკას-ძე სტურუა. ბერიას რაიონის მე-4 უბნის მოსამართლის პოსტზე ენერგიული მუშაობით მან ხალხის ნდობა და სიყვარული დაიმსახურა.

საქართველოს სს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მუშაკმა ამხ. ქ. კაციტაძემ დაახასიათა სახალხო მსაჯულებად წამოყენებული კანდიდატები ვ. კაკაბაძე, ე. ზანდუკელი, თ. ტყეშელაშვილი, ი. კარანაძე.

სახალხო მოსამართლის კანდიდატმა ა. ლ. სტურუამ დამსწრეთ მხურვალე მადლობა გადაუხადა მაღალი ნდობისათვის.

თათბირის მონაწილეებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი ოლქის მშრომელთა მიერ წამოყენებულ კანდიდატებს და მიიღეს მიმართვა მე-18 საარჩევნო ოლქის ყველა ამომრჩევლისადმი.

## ჯავის რაიონის № 1 საარჩევნო ოლქში

**ჯავა.** (საკ. კორ.) სახალხო სასამართლოების არჩევნების ჯავის საარჩევნო ოლქის წინასაარჩევნო საოლქო თათბირი გახსნა ჯავის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. შ. ბიაზაროვმა. სიტყვა წარმოთქვა ამხ. სანაკოევმა.

— სახალხო მოსამართლე სამსონ თედეევი, — თქვა მან, — კეთილსინდისიერად ასრულებს მინდობილ საქმეს. იგი ავტორიტეტით სარგებლობს მოსახლეობაში. ამიტომ წინასაარჩევნო კრების დავალებით ვშუამდგომლობ მხარი დავუჭიროთ ამხ. სამსონ თედეევის კანდიდატურას.

თათბირის მონაწილეებმა დაახასიათეს აგრეთვე სახალხო მსაჯულებას კანდიდატებად დასახელებული მოწინავე ადამიანები გ. ბიტეევი, ნ. ჯიოევი და სხვ.

სახალხო მოსამართლის კანდიდატმა ამხ. ს. თედეევმა თათბირის მონაწილეთ აღუთქვა, რომ მომავალშიც იმუშავებს თავდადებულად და გაამართლებს ხალხის ნდობას.

წინასაარჩევნო თათბირმა ერთსულოვნად დაუჭირა მხარი დასახელებულ კანდიდატებს და მიიღო მიმართვა ჯავის რაიონის პირველი საარჩევნო ოლქის ყველა ამომრჩევლისადმი.

# ახალი, გაუმჯობესებული ტექნიკა

თბილისის ბამბის ძაფსართავი ფაბრიკა 1949 სამეურნეო წლის დასაწყისს ახალი, გაუმჯობესებული ტექნიკით შეიარაღებული შეხვდა. ფაბრიკაში გამართეს და უკვე ამუშავეს საბჭოთა კავშირის მანქანათმშენებელ ქარხნებში დამზადებული უახლესი ტიპის მანქანა-დანადგარები, რომლებიც უზრუნველყოფენ ბამბისაგან მაღალი ნომრების (უწვრილესი და მაგარი) ძაფების ჩამორთვას.

უკვე გამართულია 14 საჩეჩი, 8 საგრეხ-საწეწი, 2 საფთილავი და საბონაქე-სახვევი მანქანები და მთელი რიგი სხვა მოწყობილობანი.

ფაბრიკაში შეუდგნენ ხელოვნური სინესტის გამომწვევ მოწყობილობათა გამართვას, რაც გაზაფხულამდე უნდა დამთავრდეს. ამ მოწყობილობათა ამუშავებას დიდი მნიშვნელობა ექნება ზაფხულში, როცა მზიანი დღეებია, ბამბა შრება და ძაფი სუსტი გამოდის. ხელოვნური სინესტის მოწყობილობათა გამართვის მიზანია ზაფხულობით მაღალხარისხოვანი ძაფის გამოშვების უზრუნველყოფა.



**თბილისი. სპილენძსაგლინავი ქარხანა.** პირველადი გაგლინვის ბრიგადამ, რომელსაც მ. სეფაშვილი ხელმძღვანელობს, წლიური გეგმა ვადამდე შეასრულა და ვალდებულება იკისრა საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის გახსნის დღისათვის 110 პროცენტით შეასრულოს იანვრის გეგმა. **სურათზე:** ბრიგადის სტახანოველი მგლინავები (მარცხნიდან) გ. სოფრომაძე, მ. სეფაშვილი და ვ. ბელოუსოვი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა

საქართველოს ბოლშევიკების **XIV** ყრილობის აღსანიშნავად

## დაზგები გეგმის გადამეტებით

ნედლეულის წინასწარ მომარაგებამ, ახალი სამეურნეო წლისათვის გულდასმით მომზადებამ ქარხანა „დაზგის“ კოლექტივს საშუალება მისცა იანვრის პირველი დღეებიდანვე ყველა საამქროსა და ბრიგადაში მუშაობა გამართულად დაეწყო. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამწყობი საამქროს (უფროსი გ. ვაწაძე) ნაყოფიერი მუშაობა. მიუხედავად იმისა, რომ საამქროს დაგვიანებით მიაწოდეს სადაზგო დეტალები, შრომის სწორი ორგანიზაციითა და სამუშაო დროის მაქსიმალურად შემჭიდროებით იანვრის პირველ ხუთდღიურში საამქროს კოლექტივმა შეძლო გეგმის გადამეტებით 4 ჰანჭიკსაჭრელი დაზგის აწყობა.

მოწინავეა მექანიკური საამქროც, რომლის საწარმოო მაჩვენებლები 120 პროცენტზე ნაკლები არ ყოფილა. 5 იანვარს ამ საამქრომ დღიური დავალება 140 პროცენტით შეასრულა, ხოლო 6 იანვარს — 150 პროცენტით.

ქარხნის მოწინავე ადამიანები გადაჭარბებით ასრულებენ საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის მოწვევის აღსანიშნავად ნაკისრ გადიდებულ საწარმოო ვალდებულებებს. ამწყობმა — ზეინკალმა ს. გეჯაძემ დეკემბერში სხვადასხვა სიმძლავრის 36 დაზგას გაუკეთა დგამი, სუპორტი, ჩაატარა სადაზგო კვანძების ჯიფთვა და საერთო დაცენტრება, რითაც გეგმა 650 პროცენტით შეასრულა. მეორე ამწყობმა მ. აბუაშვილმა დეკემბრის დავალება 400 პროცენტით შეასრულა. ასევე წარმატებით შეასრულეს ყრილობის მოწვევის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებები მეყალიბე ა. ავეტისიანმა, მჭედელმა ვ. ზამულენკომ, ხარატმა ვ. ზახაროვმა და სხვებმა. ქარხნის ეს მოწინავე ადამიანები იანვარში უფრო მეტად აძლიერებენ მუშაობის ტემპს. ამწყობ-ზეინკლები ვ. არხიპოვი და მ. აბუაშვილი გეგმას ყოველდღიურად 450 პროცენტით ასრულებენ, ხარატი ვ. ზახაროვი—400 პროცენტით. ნაკისრ ვალდებულებათა გასანაღდებლად წარმატებით იბრძვიან აგრეთვე ხარატები გ. მეკლიანი, მ. შეხოვცევი, მეყალიბე ა. ბებუთაშვილი და სხვები.

## ახალი წლის პირველი ხუთდღიური ქუთაისის საწარმოებში

**ქუთაისი,** (საკ. კორ.). ქუთაისის საწარმოთა კოლექტივებმა დეკემბერში აღებული მუშაობის ტემპი კიდევ უფრო გააძლიერეს.

საავტომობილო ქარხნის საიარაღო საამქროს საჭრისების განყოფილებამ, რომელსაც ოსტატი გ. ჩიხლაძე ხელმძღვანელობს, იანვრის პირველი ხუთდღიურის გეგმა 106 პროცენტით შეასრულა. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მოიპოვა ამ საამქროში ვ. ჩხენკელის ბრიგადამ, რომელმაც ხუთდღიური გეგმა 200 პროცენტით გაანაღდა. ქარხნის დანარჩენ საამქროთაგან საუკეთესო მაჩვენებლები აქვთ ხარატ ა. კურტანიძეს, მხეხავ ი. ტყეშელაშვილს, მღარავებს დ. კვინიკაძეს, ი. გორდეზიანს, შ. გაჩეჩილაძეს. კარგად მუშაობენ და საერთო წარმატების მიღწევას ხელს უწყობენ ოსტატები ქ. ჯიქია და ო. საყვარელიძე.

კარგად დაიწყო 1949 წლის საწარმოო დავალებათა შესრულება მაუდის ფაბრიკის კოლექტივმაც. იანვრის პირველ ხუთდღიურში ამ ფაბრიკაში გეგმა 5 პროცენტის გადამეტებით გაანაღდეს.

წარმატებით დაიწყეს 1949 წლის გადიდებული გეგმების შესრულება საკონსერვო და ლიტოპონის ქარხნებისა და აბრეშუმ-კომბინატის კოლექტივებმაც.

## კვარტალური გეგმა ყრილობის გახსნის დღისათვის

**ხაშური.** (საკ. კორ.). ხაშურის საორთქლმავლო დეპოს კოლექტივმა საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის მოწვევის აღსანიშნავად გადიდებულ საწარმოო ვალდებულებათა შესრულება იკისრა. დეკემბერში ეს ვალდებულებანი წარმატებით გაანაღდეს. ლოკომოტივთა გარბენის წლიური გეგმა, დეპოს მეორთქლმავლეებმა შეასრულეს 103,2 პროცენტით, დეკემბერში ორთქლმავალთა სარემონტოდ გაცდენის დრო შეამცირეს 2,6 საათით და გასწიეს საწვავის ეკონომია 4,1 პროცენტის ოდენობით.

იანვრისათვის დეპოელებმა ახალი გადიდებული საწარმოო ვალდებულებანი იკისრეს. მათ გადაწყვიტეს ორთქლმავალთა გარეცხვის 1949 წლის პირველი კვარტალის გეგმა შეასრულონ საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის გახსნის დღისათვის, 2 საათით შეამცირონ ორთქლმავალთა სარემონტო გაცდენის დრო და გეგმის გადამეტებით გამოუშვან ერთი გაჯანსაღებული ორთქლმავალი.

## უზრუნველვყოთ სათადარიგო ნაწილებით მანქანა-ტრაქტორთა სადგურები

ჩვენი რესპუბლიკის მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში კაჭრეთის მტს-ის მუშაკთა პატრიოტული მიმართვის პასუხად ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების რემონტის ვადამდე — საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის გახსნის დღის — 25 იანვრისათვის დასამთავრებლად.

მტს-ების მუშაკთა მიერ ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულება მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული დედაქალაქის იმ საწარმოებზე, რომლებიც ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების სათადარიგო ნაწილებს ამზადებენ მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისათვის. ქვემოდ ვბეჭდავთ ზოგიერთი საწარმოს მიერ გასულ წელს სათადარიგო ნაწილების დასამზადებლად გაწეული მუშაობის შედეგებს.

### სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების ქარხანა

თბილისის სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების ქარხნის კოლექტივს დავალებული ჰქონდა მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისათვის დაემზადებია ოთხი სახის სათადარიგო ნაწილები. მათ შორის „სტზ-62“ მარკის ტრაქტორებისათვის 500 ცალი მორგვი, „პ-1“ მარკის გუთნებისათვის — 390 ცალი ხუფი და 390 ცალი ხრუტუნა, „პ-14“ მარკის გუთნებისათვის — 390 გორგოლაჭი.

ამ სათადარიგო ნაწილების დამზადების დავალება ქარხნის კოლექტივმა თვალსაჩინო გადაჭარბებით შეასრულა. დამზადებული და მტს-ებისათვის გადაცემულია 557 ცალი მორგვი, 464 ცალი ხუფი, 612 ცალი ხრუტუნა და 1.139 ცალი გორგოლაჭი. მთლიანად სათადარიგო ნაწილების დამზადების დავალება ქარხანამ 137,4 პროცენტით შეასრულა.

### კალინინის სახელობის მექანიკური ქარხანა

კალინინის სახელობის ქარხანას მხოლოდ ერთი სახის სათადარიგო ნაწილის — ცალულების დამზადება ჰქონდა დავალებული. ასეთი ცალულები აქ ათასი ცალი უნდა დაემზადებიათ. ქარხნის კოლექტივმა ეს დავალება ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულა — დამზადებული და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისათვის გადაცემულია 1.172 ცალი ცალული.

# უჩა ჯაფარიძე

**(ხელოვნების მუშაკთა სახლში მისი სურათების გამოფენის გამო)**

როდესაც უჩა ჯაფარიძის სურათებს შევცქერით, ერთხელ კიდევ ვრწმუნდებით, თუ რა წარუხოცელი შთამბეჭდავი ძალა ჰქონია შემოქმედისათვის ბავშვობისა და ჭაბუკობის წლებში ნახულსა და შეთვისებულს. უჩა ჯაფარიძე ზემო რაჭაში, სოფლად, ხალხში აღიზარდა და ამიტომაც ფარაჯიანი გლეხი, კოლმეურნე, სოფლელი დედაკაცი და ხარებგაბმული ურემი, ფუჩეჩდაცობილი დოქი, მესტვირე, ზვინი და კალო მხატვრის საყვარელი თემა გამხდარა. ქალაქურ ცხოვრებას, უნივერსიტეტსა და აკადემიას, მრავალსართულიან სახლებსა და სანაპირო ქუჩების სილამაზეს ვერ შეუნელებიათ მხატვარში მთის ბუნებისადმი სიყვარული.

უჩა ჯაფარიძის მამა—მალაქია ჯაფარიძე ნაამაგდარი პედაგოგი, შთამაგონებელი მასწავლებელი იყო. მამისაგან დაჰყვა უჩას მშრომელი ადამიანისადმი დიდი სიყვარული და პატივისცემა.

უჩას უფროსი ტყუპი ძმები—ლადო და გრიგოლ ჯაფარიძეები პორტრეტის თვალსაჩინო მხატვრები არიან; საკმაოა დავასახელოთ ხალხში მრავალათასიანი ტირაჟებით გავრცელებული „ახალგაზრდა რუსთაველი“, ილია ჭავჭავაძისა და ალექსანდრე ყაზბეგის პოეტური წარმოსახვით შექმნილი პორტრეტები, რომელნიც სიყვარულიანი გულთბილობით გადმოგვცემენ ხალხის წარმოდგენას დიდ ქართველ მწერლებზე. უფროსმა ძმებმა უჩა ჯაფარიძეს ჩაუნერგეს მხატვრობისადმი სიყვარული. მათ პირველად ასწავლეს უმცროს ძმას ფანქრისა, ყალმისა და ფუნჯის ხელში მომარჯვება. ონის დაწყებითი სასწავლებლიდან უჩა ჯაფარიძე ხშირად იგონებს ხატვის მასწავლებელს მატკავას, რომელმაც თავის მოწაფეს მხატვრობისადმი მისწრაფება გაუცხოველა და ფერწერის ანბანა შეასწავლა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ გზა გაუხსნა ნიჭიერ ახალგაზრდობას. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წლებში დაარსდა სამხატვრო აკადემია და გაიხსნა პროფესორ მოსე თოიძის სტუდია. 1922 წლიდან უჩა ჯაფარიძე მოსე თოიძის სტუდიაში სწავლობს, შემდეგ თბილისის სამხატვრო აკადემიას ამთავრებს. აკადემიაში მისი მასწავლებლები იყვნენ პროფესორები—მ. თოიძე, დ. კაკაბაძე და სხვ. უჩა ჯაფარიძის მეცადინეობისა და შემოქმედებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ქართული მხატვრობის რეალისტური სკოლის (ა. ბერიძის, რ. გველესიანის, გ. გაბაშვილის, ა. მრევლიშვილის, მ. თოიძის, ი. ნიკოლაძის) ტრადიციებისა და გამოცდილების ათვისებას.

საინტერესოა, რომ მხატვრობის სარბიელზე გამოსვლა უჩა ჯაფარიძემ წიგნის გაფორმებითა და პორტრეტით დაიწყო. 1926 წელს მან დაასურათა ი. იმედაშვილის პოემა „მზეთამზე“, ხოლო ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“ დიდი ქართველი მწერლის დავით კლდიაშვილის პორტრეტი მოათავსა.

დასაწყისში მხატვარს სტილიზაციით გატაცება ემჩნეოდა, მაგრამ თბილისის მუზეუმებში მუშაობამ, ეთნოგრაფიულ ექსპედიციებში შრომამ და მეცადინეობამ ის ცხოვრებისა და ბუნების მეცნიერულ შესწავლაზე დამყარებული რეალისტური შემოქმედების გზაზე დააყენეს. განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მხატვრისათვის მოსკოვში მუშაობას. მან საფუძვლიანად შეისწავლა და შეითვისა რუსული მაღალიდეური რეალისტური სკოლის მხატვრობა. ამან ხელი შეუწყო უჩა ჯაფარიძეს შემოქმედების ფართო და ნათელ გზაზე გამოსულიყო.

ქართული საბჭოთა მხატვრობის განვითარებაში განსაკუთრებული როლი შეასრულა ლავრენტი ბერიას ისტორიულმა ნაშრომმა „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“. დღეს უკვე ცნობილია ქართველი ოსტატების მნიშვნელოვანი წვლილი დიდი ბელადის სახის ამსახველ ნაწარმოებთა გალერიის შექმნაში. ლავრენტი ბერიას ისტორიული ნაშრომით შთაგონებული თემა მთავარ თემად იქცა უჩა ჯაფარიძისათვისაც და რასაც ეს მხატვარი აკეთებს, ყოველივე იმისაკენ არის მიმართული, რომ სურათიდან სურათში ბელადის სახის მხატვრული ასახვა სრულყოს, სურათიდან სურათში აღბეჭდოს დიდი ბელადის ბრძოლისა და შრომის დიადი ისტორიული, მსოფლიო მნიშვნელობა.

უჩა ჯაფარიძე ერთი იმ მოწინავე საბჭოთა მხატვართაგანია, რომელსაც სწორად აქვს გაგებული საბჭოთა ხელოვნების მოწოდება. უჩა ჯაფარიძის შემონაქმედი მაღალი იდეურობით არის გამსჭვალული. ის სოციალიზმის მშენებელი ხალხის ბრძოლისა და შრომის მომღერალია და ამიტომაც დაიმსახურა სახალხო მხატვრის საპატიო წოდება, გახდა ხალხის საყვარელი ოსტატი.

ბელადის პორტრეტი, უჩა ჯაფარიძის ფუნჯით წარმოსახული, გვიხატავს მშრომელი ხალხისათვის ძვირფასს, ახლობელს, ღვიძლსა და ბრძენ მამას და სწორედ ამის ნათლად და დიდი სიყვარულით გადმოცემაშია ამ პორტრეტის შთამაგონებელი ძალა.

ბუნებრივია, რომ სწორედ უჩა ჯაფარიძეს, რომელსაც წილად ხვდა ქართულ საბჭოთა სახვითს ხელოვნებაში საუკეთესო გამომხატველი იყოს თანადროულობისა, დაეკისრა საპატიო ამოცანა — მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის სხდომათა დარბაზის კედლების მოხატვა. ამ ამოცანის გადაჭრით უჩა ჯაფარიძე მოგვევლინა მონუმენტური ფერწერის ოსტატად. მას მიენიჭა სტალინური პრემიის ლაურეატობა პირველი ფრესკისათვის „1901 წლის 1 მაისის დემონსტრაცია თბილისში ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით“. ამ ნაწარმოებზე მხატვარმა იმუშავა 1938 წლის იანვრიდან 1941 წლის 20 თებერვლამდე. ორი დიდი ესკიზის დამუშავების შემდეგ მხატვარმა დაამზადა ნატურალური ზომის მუყაო დაზუსტებული ნახატით და ამის შემდეგ შეუდგა ფრესკის წერას. საჭირო გახდა მრავალი ეტიუდის, ესკიზური მონასახის დამზადება ფრესკაში ჩაწერილ 60-მდე ფიგურისათვის. მხატვარი ამ დიდ და რთულ მუშაობაში გარემოსილი იყო ყურადღებისა და ხელისშეწყობის ატმოსფეროთი. ვინც კი საჭირო ხდებოდა, მუშა თუ ინტელიგენტი, კოლმეურნე თუ მოსწავლე, ყველა სიამოვნებით თანხმდებოდა ხელი შეეწყო ოსტატისათვის. მხატვარს სრული შესაძლებლობა ჰქონდა ნატურიდან ჩახატული ესკიზებითა და ეტიუდებით შეექმნა მომხიბვლელი სახეები ფრესკაზე. ამ ფრესკის ესკიზები და ვარიანტები ამჟღავნებენ მხატვრის შთანაფიქრის სიღრმესა და გაქანებას, დიდ გულმოდგინებასა და შემოქმედებითს ნებისყოფას, ფერწერის ამოცანების თემის შესაბამისად გადაჭრის უნარსა და ოსტატობას. მხატვარი ტიპიურად წარმოსახულ უამრავ ფიგურებს უქმნის თავისუფალ სივრცეს, მასების პლასტიკურ მოძრაობას ჰაერის ბუნებრივი გამჭვირვალობით წარმოგვიდგენს და სურათის წინა მხარის და ცენტრის თანაფარდობას ბრწყინვალედ მიგნებული ხერხით ახორციელებს. სამი წელიწადი მუშაობდა მხატვარი ამ ფრესკზე და ახლა მნახველის თვალწინაა ღირსშესანიშნავი ნაწარმოები, რომელმაც სახელი მოუხვეჭა არა მარტო უჩა ჯაფარიძეს, არამედ მთელ ქართულ საბჭოთა მხატვრობას.

ასევე დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით დაწერა მხატვარმა მეორე ფრესკა — „ამხანაგ სტალინის გამოსვლა წითელ მოედანზე 1941 წლის 7 ნოემბრის აღლუმზე“.

ხელოვნების მუშაკთა სახლში გახსნილ გამოფენაზე ცოტა ხნით ყოფნაც კი საკმარისია, რომ უჩა ჯაფარიძის შემოქმედების მთავარი ღირსება — მისი ფუნჯის სიმართლე და უშუალობა მთელი ძალით შეიცნოთ. ნატურის განსახიერებაში მხატვარი იჩენს განზოგადებული აზრის ძალასა და არტისტული გეძოვნებით აღბეჭდილ ზომიერებას. ის ყოველ ფერს და ყოველ ხაზს მორიდებული თავმდაბლობით ამეტყველებს, რეალისტურად წერს და ხატავს. შემოქმედს მხოლოდ ერთი მისწრაფება აქვს — მთელი ხმით თქვას სიმართლე ჩვენს დიად სამშობლოზე, ჩვენს ხალხზე.

ცხადია, რომ ამ ჩვენი დროის სახელმოხვეჭილ შემოქმედს, რომელსაც წილად ხვდა დიდ საზოგადოებრივ შენობათა მონუმენტური ფერწერით შემკობა, კიდევ უფრო დიდ ნაწარმოებთა შექმნა მოუხდება და რამდენადაც მისი ნახატი მტკიცეა, მკვეთრი და იდეის ნათლად გამომსახველი, ამდენადვე ცოცხლად მეტყველი უნდა იყოს მისი სურათების ფერადოვნებაც.

**დ. ჯანელიძე**

## ასპირანტთა სამეცნიერო კონფერენცია

11-14 იანვარს შედგება სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტთა IV სამეცნიერო კონფერენცია.

მათემატიკისა და ბუნებისმეტყველების სექციაში (ხელმძღვანელი პროფესორი ვ. მამასახლისოვი), რომელიც იმუშავებს 11-12 იანვარს, წაკითხული იქნება შემდეგი მოხსენებანი: ინტეგრალის ერთი განზოგადების შესახებ (მომხს. ა. ჯვარშეიშვილი), სამწვერა ნერვის მოქმედება რეფლექსურ რეაქციებზე (ბ. თევზაძე), ახალციხის მურა ნახშირების ანალიზური დახასიათება (ლ. ბუაძე), მაგნიტური პოლარიზაციის გავლენა სწრაფად მოძრავი დატვირთული ნაწილაკის ენერგიის დანაკარგზე ფერომაგნიტურ სხეულებში (ბ. გურგენიძე), პატარა შირაქის ნავთობის არომატულ ნახშირწყალბადთა გამოკვლევა (თ. ლებსაძე), პოტენციალის თეორიის ზოგიერთი საზღვრითი ამოცანის შესახებ (ა. ხვოლესი).

ფილოლოგიის სექცია (ხელმძღვანელი დოცენტი გ. ხავთასი) ორ დღეს, 11-12 იანვარს, იმუშავებს. მოსმენილ იქნება შემდეგი მოხსენებანი: დანტეს „ახალი ცხოვრება“ (ე. თოფურიძე), ორბრუნვიანი სახელების წარმოებისათვის სალიტერატურო არაბულში (მ. შანიძე), ჰესიოდე და პრომეთეს პრობლემა (ი შენგელია), ლიტერატურის პარტიულობის პრინციპი სოციალისტურ რეალიზმში (ფ. კოტეტიშვილი), ვინკელმანი, ლესინგი და გოეთე ლაოკოონის სკულპტურული ჯგუფის შესახებ (ნ. კაკაბაძე), ქაშენელ ებრაელთა სპარსულის ზოგიერთი ფონეტიკური თავისებურება (ლ. თუშიშვილი), ემფატიკური ბგერების ხმარება თანამედროვე არაბულ ლიტერატურაში (ვ. ახვლედიანი).

ისტორიის, ფილოსოფიის, ეკონომიკისა და იურიდიულ მეცნიერებათა სექციის (ხელმძღვანელი პროფესორი ა. ნამორაძე), მუშაობა დაიწყება 12 იანვარს და 14 იანვარს დამთავრდება. წაკითხული იქნება 9 მოხსენება: „გველის მჭამელის“ ფილოსოფიური შინაარსი (ბ. დობორჯგინიძე), ბოლშევიკების ტაქტიკა რუსეთის პირველ რევოლუციაში (ა. ებრალიძე), მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ (მ. კიკოზაშვილი), ალექსანდრე ბატონიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა (შ. ხანთაძე), სენიორალური გადასახადების საკითხი საფრანგეთში და 1790 წლის მარტის დეკრეტი (მ. მურადოვი), გიორგი წერეთლის მსოფლმხედველობის საფუძვლებისათვის (მ. გაფრინდაშვილი), საგლეხო მიწათმფლობელობა საფრანგეთში 1790 წლის რევოლუციის წინ და „რუსული სკოლა“ (რ. სიკინჭილაშვილი), მარქსიზმის წარმოშობა (ვ. საჯაია).

# საერთაშორისო მიმოხილვა

## ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის არჩევნებიდან 81-ე კონგრესის პირველ სესიამდე

ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ნაწილობრივი ხელახალი არჩევნებიდან და პრეზიდენტის არჩევნებიდან, რაც შარშან ნოემბერში მოხდა, ორი თვე გავიდა განახლებული კონგრესის ამა წლის 5 იანვარს გახსნილ პირველ სესიამდე.

ცნობილია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელმა პრეზიდენტმა ტრუმენმა გამარჯვება არჩევნებში თავისთვის უზრუნველყო უმთავრესად ფართო დემოკრატიული დაპირებებით საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში.

მაგრამ დღემდე ეს დაპირებანი დაპირებებადვე რჩება. ამერიკის შეერთებული შტატები წინანდელსავე კურსს მისდევენ როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში.

ამერიკის შეერთებულ შტატებში კვლავინდებურად იზრდება კაპიტალისტური მონოპოლიების მოგება, ღატაკდებიან ფართო მასები, რომლებიც ეკონომიური და პოლიტიკური უუფლებობის მდგომარეობაში იმყოფებიან. მმართველ წრეებს სურთ მოახლოებული კრიზისი მიჩქმალონ საერთაშორისო ავანტიურებით, გაშალებული შეიარაღებით, ანტისაბჭოთა ისტერიის გაღვივებით, „მარშალის გეგმის“ გზით ევროპის ეკონომიური და პოლიტიკური დამონებით.

ამერიკის კაპიტალისტური მონოპოლიების მოგებამ 1948 წელს სარეკორდო თანხას მიაღწია, —თითქმის 30 მილიარდ დოლარს, ამავე დროს კი მუშებისა და ფერმერების საარსებო დონე მკვეთრად დაქვეითდა. ამერიკის პროფკავშირული სააგენტოს „ფედერეიტედ პრესის“ ცნობებით, ამერიკის სამრეწველო მუშები საშუალოდ ხელფასს იმ საარსებო მინიმუმის ერთი მესამედით ნაკლებს იღებენ, რაც საჭიროა ოჯახის გამოსაკვებად. შეუჩერებლად იზრდება უმუშევრობა. ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში 6 მილიონზე მეტი უმუშევარი ითვლება. იმ პირთა რაოდენობა, რომლებიც არასრულ კვირას მუშაობენ, მხოლოდ შარშანდელი წლის ნოემბრის განმავლობაში 3 მილიონითა და მეტით გადიდდა და 10,4 მილიონ კაცს მიაღწია. ახალი ინგლისის შტატებში მქსოველთა დაახლოებით მესამედი უმუშევარია. უმუშევარია ფეხსაცმლის მკერავთა 15 პროცენტი, ხოლო 25 პროცენტი არასრულ კვირას მუშაობს. „ფედერეიტედ პრესის“ სააგენტოს ცნობით, მუშაობას ამცირებენ ელექტროტექნიკური და მთელი რიგი სხვა კომპანიები.

ამასთან ერთად, უკანასკნელი ცნობებით, საწყობებში დაგროვდა 54.400 მილიონი დოლარის საქონელი და მასალა. „ვაშინგტონ პოსტის“ საფინანსო მიმომხილველი ლივინგსტონი ამა წლის 3 იანვარს წერდა: „ახლა, როცა 1949 წელში შევდივართ, შეიძლება ითქვას, რომ საკითხი ის კი არ არის, დადგება თუ არა ეკონომიური დაქვეითება, არამედ უფრო ის, თუ რამდენად დიდი იქნება ეს დაქვეითება“. ამრიგად, ზრდილობიანად ერიდებიან რა სიტყვა „კრიზისს“, ცვლიან რა მას „დაქვეითებით“, ამერიკის შეერთებულ შტატებში სულ უფრო მტკიცედ რწმუნდებიან, რომ უახლოეს მომავალში კრიზისი გარდუვალია.

კრიზისისათვის თავის დაღწევის მთელ იმედს ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი მონოპოლისტური წრეები ამყარებენ გაშლებულ შეიარაღებაზე—სამხედრო წარმოების ზრდაზე სომარ ფსიქოზთან დაკავშირებით და „მარშალის გეგმაზე“. ამერიკულმა ჟურნალმა „იუნაიტედ სტეიტს ნიუს ენდ უორლდ რიპორტმა“ 31 დეკემბერს ცინიკურად განაცხადა. „რა თქმა უნდა, ომს შეუძლია კვლავ გამოიწვიოს ბუმი. მაგრამ ომი ნაკლებ მოსალოდნელია ამასვე გამოიწვევდა ფართო საომარი მზადება. თუ მშვიდობა მართლაც ჩამოვარდა, იგი დაარღვევს არსებულ მდგომარეობას. ამჟამად საქმიან აქტივობას ხელს უწყობენ შეიარაღებისა და სხვა ქვეყნებისათვის დახმარების ხარჯები“.

ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული, ავანტიურისტული პოლიტიკა რეალურად განხორციელდა ამერიკის შეერთებული შტატების მიმდინარე ბიუჯეტით. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბიუჯეტი, „მარშალის გეგმის“ მიხედვით ასიგნობათა გარდა, 14 მილიარდ დოლარზე მეტს შეადგენს, მაშინ როცა განათლების საჭიროებისათვის ასიგნობანი 250 მილიონ დოლარს შეადგენენ. ამრიგად, სამხედრო ხარჯები 56-ჯერ სჭარბობენ განათლების ხარჯებს! ამის შემდეგ გასაკვირველი როდია, რომ ამერიკაში, რომელიც თავის სიმდიდრესა და კულტურას იკვეხნის, 6 მილიონ ბავშვს შესაძლებლობა არა აქვს სკოლაში იაროს. თვით ტრუმენის აღიარებით, „5 მილიონი ოჯახი ქოხმახებში ცხოვრობს, 3 მილიონი ოჯახი სხვის კერას იზიარებს“. ჯანმრთელობის დაცვა მიუწვდომელია ამერიკელ მოქალაქეთა უდიდესი უმრავლესობისათვის.

ცხადია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების საშინაო ცხოვრების ასეთი კატასტროფული განვითარების დროს ტრუმენს, როცა წერილით მიმართავდა კონგრესის პირველ სესიას, არ შეეძლო ანგარიში არ გაეწია მასების მზარდი უკმაყოფილებისათვის. ამით აიხსნება მთელი რიგი იძულებითი აღიარებანი ხალხის გაჭირვებული მდგომარეობის შესახებ და ფიცით მიცემული დეკლარაციები ამ მდგომარეობის გამოსწორების აუცილებლობის შესახებ.

ფინანსისტ მესვეურებს, მეზირეებსა და სპეკულანტებს ყოველგვარი საფუძველი აქვთ კმაყოფილი იყვნენ. ტრუმენის წერილმა კონგრესისადმი ცხადყო, რომ მათ სრულიადაც არ უნდა ეშინოდეთ დემოკრატიული პარტიის წინასაარჩევნო რელაციებისა.

ტრუმენი თავის წინასაარჩევნო სიტყვებში გმობდა „ანტიამერიკული საქმიანობის გამომძიებელ კომისიას“, მაგრამ ტრუმენს არაფერი არ უთქვამს ამაზე წერილში, დემოკრატიული პარტიის წევრმა დეპუტატებმა კი დაადგინეს — არ აღძრან კონგრესში საკითხი ამ კომისიის ლიკვიდაციის შესახებ. დემოკრატების წინასაარჩევნო პროგრამასა და ტრუმენის სიტყვებში ბევრი რამ იყო ნათქვამი მშვიდობასა და საერთაშორისო თანამშრომლობაზე, მაგრამ ამჟამად ტრუმენი იბრძვის უდიდესი სამხედრო ასიგნობებისა და ამერიკის შეერთებულ შტატებში საყოველთაო სამხედრო სწავლების შემოღებისათვის. მის წერილში აშკარად აღიარებულია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა მომავალშიც განახორციელებს პოლიტიკას, რომელიც მიმართულია მსოფლიო ბატონობის მოპოვებისა და სხვა ქვეყნების დამოუკიდებლობის ძოსპობისაკენ. ასეთია საქმის ვითარება ტრუმენისა და დემოკრატების წინასაარჩევნო პროგრამის მეტი წილი პუნქტების მხრივ.

გაზეთი „დეილი უორკერი“ სტატიაში „ვერაგობა კონგრესში“ დემოკრატიული პარტიის ზედაფენის პოლიტიკაზე წერს: „დემოკრატიული პარტიის უმრავლესობამ უკვე ცხადად დაგვანახვა, რომ ხალხს მოუხდება უაღრესად სასტიკი ბრძოლის გაწევა, რათა რაიმე მიიღოს იქიდან, რასაც, მისი აზრით, ხმა მისცა ნოემბრის არჩევნებში... რა საჭიროა მიცემულ დაპირებათა ეს უსირცხვილო და ცინიკური აბუჩად აგდება? ცხადია, მიზეზი ჩამარხულია იმ ძირითად მიზნებში, რომლებიც კონგრესის ამ სესიისათვის დააწესა ბატონმა, ვინც სათამაშოდ იყენებს ძირითად პარტიებს, ე. ი. უოლ-სტრიტმა. ეს მიზნებია შეიარაღების უდიდესი პროგრამის გატარება და მთელი მსოფლიოს ხალხებისადმი ამერიკის იმპერიალისტური კონტროლის გაფართოებისა და განმტკიცების ღონისძიებანი“.

ტრუმენის წერილი გააკრიტიკეს უოლესმა და ამერიკის შეერთებული შტატების მთელმა რიგმა პროგრესულმა მოღვაწეებმა. „პრეზიდენტის წინადადებანი საშინაო გაუმჯობესებათა და რეფორმათა შესახებ,—განაცხადა უოლესმა, — სავსებით ეწინააღმდეგებიან მის საგარეო პოლიტიკას. სიუხვე და უშიშროება მიუწვდომელია ამერიკელი ხალხისათვის, სანამ ჩვენ მივდევთ ისეთ კურსს, რის შედეგადაც ჩვენს მატერიალურ სახსრებსა და მუშახელს იყენებენ მილიტარიზაციის და ჩვენთვისა და დასავლეთი ევროპისათვის შეიარაღების უდიდესი პროგრამის შესასრულებლად“.

## ინგლის-ამერიკის მორიგება რურის კოლონიზაციის შესახებ

ექვსი ქვეყნის (ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, საფრანგეთი, ბელგია, პოლანდია და ლუქსემბურგი) კონფერენციამ, რომელიც დეკემბერში ლონდონს მიმდინარეობდა, შეიმუშავა პროექტი შეთანხმებისა რურის საკითხზე. ეს შეთანხმება წარმოადგენს დასავლეთი სახელმწიფოების ახალ ღალატს პოტსდამის პრინციპებისადმი, რომლებიც, როგორც ცნობილია, ითვალისწინებენ, რომ ყველა საკითხი, რაც გერმანიას ეხება, უნდა გადაწყვიტოს ოთხმა დიდმა სახელმწიფომ—სსრ კავშირმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ინგლისმა და საფრანგეთმა.

ახალ მორიგებას რურის შესახებ გერმანიის დემოკრატიზაციისა და დემილიტარიზაციის პრინციპებთან საერთო არა აქვს რა. ეს მორიგება სავსებით შეესაბამება ამერიკის პოლიტიკას, რომელიც ითვალისწინებს გერმანიის სამხედრო-სამრეწველო ძლიერების აღორძინებას და რურის გადაქცევას საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ აგრესიის ბაზად.

ლონდონის შეთანხმება ეწინააღმდეგება გერმანელი ხალხის ინტერესებს, რომელიც ცდილობს შექმნას ერთიანი დემოკრატიული გერმანია. გერმანიის სახალხო საბჭოს პროტესტში „რურის სტატუტის“ წინააღმდეგ ნათქვამია: „ნაცვლად იმისა, რომ საომარი მოქმედების შეწყვეტის ოთხი წლის შემდეგ გერმანელი ხალხისათვის დაებრუნებინათ მისი ერთიანობა და მიეცათ დიდი ხნის ნანატრი სამართლიანი ზავი, „მარშალის გეგმის“ პოლიტიკამ გამოიწვია დასავლეთი გერმანიის სეპარატული სახელმწიფოს შექმნა, გერმანიისათვის საოკუპაციო სტატუტის მომზადება და, ბოლოს, რურის ოლქის ჩამოშორება და მისი გადაქცევა რურის სახელმწიფოდ ამერიკის მონოპოლისტური კაპიტალის ბატონობით“.

შეთანხმების პირობებიდან ცხადი ხდება, რომ გერმანიის უდიდესი სამრეწველო ოლქი ინგლის-ამერიკის კოლონიად იქცევა. კონტროლს ქვანახშირისა და ფოლადის წარმოებისადმი დააწესებენ ეგრეთწოდებული „საკონტროლო ჯგუფები“, რომლებიც მთლიანად ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის ხელში არიან, ესენი კი მოწყალედ თანხმდებიან ამ ჯგუფებში შეუშვან საფრანგეთის წარმომადგენლები, თუმცა მათთვის უზრუნველყოფილი არ არის არავითარი უფლება. რურის სამრეწველო პროდუქციის განაწილება ინგლის-ამერიკის სრული კონტროლით მოხდება.

„საერთაშორისო ორგანო“, რომელიც პროდუქციის განაწილებას განაგებს, 15 წარმომადგენლისაგან შედგება: სამ-სამი წარმომადგენელი ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთისაგან, თითო წარმომადგენელი ბენილუქსის ქვეყნებისაგან და სამი წარმომადგენელი „გერმანიისაგან“ (ეს უკანასკნელი წარმოდგენილი იქნება ოკუპაციის დასავლეთი ზონების სამხედრო გუბერნატორების სახით). უბრალო გამოანგარიშება გვიჩვენებს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს აქვთ, სულ მცირე, 8 ხმა, რაც საკმაოა მათთვის სასურველი ყოველგვარი გადაწყვეტილების მისაღებად. ცხადი ხდება საფრანგეთის სრული კაპიტულაცია ინგლის-ამერიკის მოთხოვნათა წინაშე, ვინაიდან მას არავითარი გარანტია არ მიუღია გერმანიის საფრთხის წინააღმდეგ.

შეთანხმებაში არაფერი არ არის ნათქვამი იმაზე, თუ ვის კუთვნილებაში იქნება რურის შახტები და სამრეწველო საწარმოები. ამრიგად, ძალაში რჩება ინგლის-ამერიკის საოკუპაციო ხელისუფალთა მიერ შარშან ნოემბერში გამოცემული № 75 კანონი, რის თანახმადაც რურის მრეწველობა უბრუნდება მის წინანდელ მფლობელთ, რომლებიც ამჟამად მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ამერიკელ და ინგლისელ მონოპოლისტებთან.

შეთანხმებაში ნახსენებია კიდევ ერთი უკანონო ორგანო, რომელსაც ეწოდება „სამხედრო უშიშროების საბჭო“ და რომელიც ითანამშრომლებს „საერთაშორისო ორგანოსთან“. საბჭოს შექმნა მიზნად ისახავს შეცდომაში შეიყვანოს მსოფლიო საზოგადოებრიობა და მიჩქმალოს უშიშროებისათვის შექმნილი ის რეალური საფრთხე, რასაც რურის ახალი რეჟიმი წარმოადგენს.

ლონდონის შეთანხმებას, რომელსაც განუწყვეტლივ ქება-დიდებას ასხამს ინგლის-ამერიკის ოფიციალური პრესა, მწვავე კრიტიკით შეხვდა მთელი მსოფლიოს დემოკრატიული საზოგადოებრიობა, რომელიც პოტსდამის გადაწყვეტილებათა ახალ დარღვევაში სერიოზულ საფრთხეს ხედავს ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის.

**ა. შატილოვი**

# როტერდამში დემონსტრაციები გაიმართა ინდონეზიაში ჰოლანდიის აგრესიის წინააღმდეგ

**ჰააგა,** 6 იანვარი. (საკდესი). გაზეთი „დე ვაარჰეიდი“ იუწყება, რომ როტერდამში გაიმართა მშრომელთა ხალხმრავალი დემონსტრაციები ინდონეზიაში ჰოლანდიის აგრესიის წინააღმდეგ. მუშები გამოვიდნენ ქუჩებში ლოზუნგებით, რომლებიც მოითხოვდნენ ომის შეწყვეტისა და ინდონეზიის ხალხისათვის თავისუფლების მიცემას.

# საფრანგეთის ხელისუფალთა რეპრესიები მაღაროელების წინააღმდეგ

**პარიზი,** 7 იანვარი. (საკდესი). პრესა კვლავ იუწყება, რომ არ წყდება საფრანგეთის ხელისუფალთა რეპრესიები ფრანგი მაღაროელების, მათი პროფკავშირული ორგანიზაციებისა და სოციალური დაზღვევისა და შრომის დაცვის ორგანოებში მათი დელეგატების წინააღმდეგ.

მაგალითად, ქალაქ რიომში (პიუი-დე-დომის დეპარტამენტი) სასამართლომ პატიმრობა მიუსაჯა სამ ქალს „შრომის თავისუფლების ხელყოფისათვის“ (ამ შემთხვევაში შრომის თავისუფლებათ იგულისხმება შტრაიკბრეხერობის თავისუფლება).

ქალაქ ლანსში (პა-დე-კალეს დეპარტამენტი) დააპატიმრეს მაღაროელი ემილ მორელი და ბრალად დასდეს „შახტების ნორმალური მუშაობის დარღვევა“.

როგორც „ლუმანიტე“ იუწყება, პოლიციამ ჩხრეკა მოახდინა ქალაქ ანზენის (პა-დე-კალეს დეპარტამენტი) მაღაროელთა პროფკავშირის შენობაში. ჩხრეკის დროს, გარდა ფურცლებისა და აფიშებისა, რომლებიც ჯერ კიდევ გაფიცვის დროს გამოიცა (რაც ჩხრეკის საბაბი გახდა), და პროფკავშირული პირწმინდა საარქივო დოკუმენტებისა, პოლიციელებმა უკანონოდ წაიღეს 752 ათასი ფრანკი, რაც განკუთვნილი იყო მაღაროელთა დახმარების ფონდისათვის, და „სოლიდარობის ბონები“ 1 მილიონი ფრანკის რაოდენობით, რაც აგრეთვე განკუთვნილი იყო ლანსის მეშახტეთა რაიონული ფედერაციისათვის. „სოლიდარობის ბონებს“ იძლეოდნენ გაფიცვის დროს (და ახლაც იძლევიან) მაღაროელების თანამგრძნობი ვაჭრები. ამ ბონებით მუშებს შეუძლიათ ნისიად წაიღონ საჭირო პროდუქტები.

მაღაროელთა ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ვიქტორიენ დიუგემ თავის განცხადებაში დაგმო ხელისუფალთა უკანონო ღონისძიებანი.

„პოლიციამ,—თქვა მან,—დაარღვია გაფიცვის უფლება, აწამებდა და ხოცავდა გაფიცულებს, გაფიცულთა ოჯახების შვილებს წაართვა დახმარება (რაც შემდეგში მაინც გადახდილ იქნა). პოლიცია არ დაკმაყოფილდა იმით, რომ ადამიანებს, რომლებიც პურს იცავდნენ თავისი ოჯახებისათვის, აპატიმრებენ და ჯარიმას ახდევინებენ, და ახლა პოლიცია იჭრება სრულიად ლეგალური პროფკავშირის შენობაში, ახდენს იქ ჩხრეკას და მიაქვს 750 ათასზე მეტი ფრანკი, რაც განკუთვნილია მაღაროელებთან სოლიდარობის ფონდისათვის. ეს სხვა არა არის რა, თუ არა ნამდვილი ძარცვა“.

# სკანდინავიის ქვეყნების მინისტრების თათბირი

**სტოკჰოლმი,** 7 იანვარი. (საკდესი). 5 და 6 იანვარს შვეციის ქალაქ კარლსტადში წარმოებდა შვეციის, ნორვეგიისა და დანიის პრემიერ-მინისტრების, საგარეო საქმეთა მინისტრებისა და თავდაცვის მინისტრების დახურული თათბირი. შვეციის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ამის გამო გამოქვეყნებულ ოფიციალურ კომუნიკეში ნათქვამია მხოლოდ, რომ თათბირის მონაწილეებმა „განიხილეს საკითხი სკანდინავიის ქვეყნებს შორის თავდაცვით პოლიტიკური თანამშრომლობის წანამძღვრების შესახებ. ვარაუდობენ, რომ სკანდინავიის თავდაცვის კომიტეტის მუშაობის დამთავრების შემდეგ კოპენჰაგენში შედგება მინისტრების ახალი თათბირი“.

სტოკჰოლმის გაზეთების უმრავლესობა აცხადებს, რომ თათბირი კარლსტადში მოწვეული იყო ნორვეგიის მთავრობის მოთხოვნით ვაშინგტონიდან მიღებულ შეკითხვასთან დაკავშირებით: მზად არიან თუ არა ნორვეგია და დანია მიემხრონ ეგრეთწოდებულ „ატლანტის პაქტს“. ეს დასტურდება აგრეთვე ვაშინგტონიდან, ლონდონიდან, ბრიუსელიდან, კოპენჰაგენიდან და ოსლოდან მიღებული ცნობებით.

# რეიტერის სააგენტო მაკარტურის შტაბის განცხადების შესახებ

**ლონდონი,** 5 იანვარი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტოს ტოკიოელი კორესპონდენტი იუწყება, მაკარტურის შტაბმა გამოაცხადა, რომ იაპონიის ეგრეთწოდებული ეკონომიური აღდგენის პროგრამა, როგორც ფიქრობენ, იმას გამოიწვევს, რომ 2 მილიონამდე იაპონელი მუშა ქუჩაში დარჩება.

# პანიუშკინის განცხადება შორეული აღმოსავლეთის კომისიის სხდომაზე

**ვაშინგტონი,** 6 იანვარი. (საკდესი). შორეული აღმოსავლეთის კომისიის დღევანდელ სხდომაზე სსრ კავშირის წარმომადგენელმა პანიუშკინმა შემდეგი განცხადება გააკეთა იაპონიაში მუშათა პოლიტიკის საკითხზე:

„როცა საბჭოთა დელეგაციამ წინადადება შეიტანა, რომ შორეული აღმოსავლეთის კომისიას გადაწყვეტილება მიეღო გენერალ მაკარტურის მიერ იაპონიაში დემოკრატიულ თავისუფლებათა დარღვევის საკითხზე, რაც იმით გამოიხატა, რომ სახელმწიფო და საზოგადოებრივ საწარმოთა და დაწესებულებათა ძირითად მოსამსახურეებს აეკრძალათ გაფიცვების მოწყობა და კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადება, დელეგაცია ეყრდნობოდა პოტსდამის დეკლარაციის დებულებას იაპონიის შესახებ და შორეული აღმოსავლეთის კომისიის პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს — „ძირითადი პოლიტიკა იაპონიის მიმართ კაპიტულაციის შემდეგ“ და „იაპონიის პროფესიული კავშირების ორგანიზაციის პრინციპები“.

საბჭოთა დელეგაცია აღნიშნავდა კონკრეტულ ფაქტებს, რომლებიც ადასტურებენ, რომ გენერალ მაკარტურის 1948 წლის 22 ივლისის დირექტივა და ამ დირექტივის შესაბამისად იაპონიის მთავრობის მიერ მიღებული 1948 წლის 31 ივლისის ბრძანებულება, რომლებიც იაპონელ მუშა-მოსამსახურეთა მნიშვნელოვან ნაწილს უსპობენ თავიანთი საარსებო ინტერესების დაცვის ელემენტარულ უფლებებს, წარმოადგენენ ზემოხსენებულ გადაწყვეტილებათა პირდაპირ დარღვევას. მდგომარეობა იმან გაამწვავა, რომ ეს ანტიდემოკრატიული ღონისძიება შეერთებული შტატების ხელისუფალთა ზეგავლენით 1948 წლის 30 ნოემბერს მოიწონა იაპონიის პარლამენტმა, თუმცა მის წინააღმდეგ ილაშქრებდა დეპუტატთა მნიშვნელოვანი რაოდენობა, რომლებიც აღნიშნავდნენ, რომ ამ ღონისძიებათა გატარება ანტიდემოკრატიულ და ანტიხალხურ პოლიტიკას წარმოადგენს. სამწუხაროდ, შორეული აღმოსავლეთის კომისიაში წარმომადგენელთა უმრავლესობა საბჭოთა წინადადებას არ დაეთანხმა, რითაც დაადგა გენერალ მაკარტურისა და იაპონიის მთავრობის ამ ანტიდემოკრატიულ ღონისძიებათა მოწონების გზას.

საბჭოთა დელეგაცია საჭიროდ თვლის განაცხადოს, რომ მაკარტურისა და იაპონიის მთავრობის აღნიშნული ღონისძიებანი მას კვლავ მიაჩნია იაპონიის დემოკრატიზაციის საკითხზე მოკავშირე სახელმწიფოთა მიერ მიღებული პოლიტიკის საწინააღმდეგოდ და იაპონიის მიმართ მოკავშირეთა ამოცანებისადმი შეუთავსებლად. ხოლო ის სახელმწიფოები, რომლებიც მხარს უჭერენ იაპონიაში ამერიკელთა სარდლობის ამ პოლიტიკას, არღვევენ პოტსდამის დეკლარაციას იაპონიის შესახებ და შორეული აღმოსავლეთის კომისიის მიერ უკვე მიღებულ გადაწყვეტილებებს იაპონიის დემოკრატიზაციის შესახებ“.

# უოლესი კონგრესისადმი ტრუმენის მიმართვის შესახებ

**ნიუ-იორკი,** 6 იანვარი. (საკდესი). უოლესმა პრესის წარმომადგენელთ განცხადება გაუკეთა კონგრესისადმი ტრუმენის მიმართვასთან დაკავშირებით. უოლესმა ბუნდოვანი უწოდა ტრუმენის საშინაო პროგრამას და თქვა: „პრეზიდენტის წინადადებანი შინაგან გაუმჯობესებათა და რეფორმათა შესახებ სრულიად ეწინააღმდეგებიან მის საგარეო პოლიტიკას. სიუხვე და უშიშროება მიუღწეველია ამერიკელი ხალხისათვის, სანამ ჩვენ იმ კურსს მივყვებით, რომლის შედეგადაც ჩვენი მატერიალური სახსრები და მუშახელი გამოყენებულია თვით ჩვენი და დასავლეთ ევროპის მილიტარიზაციისა და შეიარაღების უდიდესი პროგრამის შესასრულებლად.

თავდაცვის მინისტრმა ფორესტოლმა, რომელმაც პრეზიდენტზე უფრო გულახდილად ილაპარაკა, თავის წლიურ მოხსენებაში განაცხადა, რომ არა მარტო შემდგომი პროგრესი აღმოჩნდება შეუძლებელი ჩვენს ქვეყანაში, არამედ, შესაძლებელია, საჭირო გახდეს რამდენადმე უარი ვთქვათ ცხოვრების ჩვენს ახლანდელ დონეზე.

პრეზიდენტის მიმართვა ცხადყოფს, რომ მას განზრახული აქვს განაგრძოს და გააძლიეროს ცივი ომი. ამას ნათლად მოწმობს ის, რომ იგი კვლავ მოითხოვს საყოველთაო სამხედრო სწავლებას და ამერიკელი ახალგაზრდობის ცხოვრების მტკიცე რეგლამენტაციას ომისათვის მზადების მიზნით. საგარეო პოლიტიკის შესახებ მისი კონკრეტული წინადადებანი, რომლებიც მას განზრახული აქვს თავის მომავალ მიმართვებში ჩამოაყალიბოს, ნათლად არის გამოთქმული ფორესტოლის წლიურ მოხსენებაში; იგი მოითხოვს „უმაღლეს პრიორიტეტს“ საგანგებო კანონმდებლობისათვის, რომელიც პრეზიდენტს უფლებას ანიჭებს საჭურველი მისცეს და სამხედრო დახმარება გაუწიოს ყოველ ქვეყანას დედამიწის ყოველ ნაწილში, რაც იქნება ნაწილი ჩრდილო ატლანტის სამხედრო კავშირის გეგმისა, რომლის მიზანია დასავლეთ ევროპის შეიარაღება ომისათვის.

ცივი ომის პოლიტიკა რომ გაკოტრდა და მილიარდობით დოლარი რომ იკარგება, რომლებიც შეიძლება და კიდევაც უნდა იქნას გამოყენებული ამერიკელი ხალხის საჭიროების დასაკმაყოფილებლად, ყოველდღიურად დასტურდება ჩინეთში“.

უოლესის მტკიცებით, პრეზიდენტის მიმართვა ცხადყოფს, რომ ამერიკელმა ხალხმა უნდა შექმნას თავისი საკუთარი დამოუკიდებელი ორგანიზაცია და იბრძოლოს საშინაო პროგრამის განხორციელებისათვის, რომელსაც მან ხმა მისცა ნოემბერში, რათა „ბოლო მოუღოს ცივ ომს რუსეთთან სამშვიდობო ურთიერთგაგების მიღწევის გზით“.

# საომარი მოქმედება საბერძნეთში

**ბუქარესტი,** 6 იანვარი. (საკდესი). თავისუფალი საბერძნეთის რადიოსადგური გადმოგვცემს, რომ დემოკრატიული არმიის მესამე დივიზიის ნაწილები, რომლებიც პელოპონესის ნახევარკუნძულზე მოქმედებენ, 31 დეკემბრიდან 3 იანვრამდე სასტიკ ბრძოლას ეწეოდნენ სამეფო ჯარების წინააღმდეგ, წარმატებით მოიგერიეს მოწინააღმდეგის იერიში სამი დღის განმავლობაში და კონტრშეტევაზე გადავიდნენ. სამეფო ჯარებს დიდი ზარალი მოუვიდათ მოკლულთა და დაჭრილთა სახით და შეწყვიტეს ცდა წინ წასაწევად. იუწყებიან აგრეთვე, რომ სამეფო ჯარების ახალი შეტევა, ისე როგორც წინანდელი, უმთავრესად მიმართულია პელოპონესის ქალაქებისა და სოფლების მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ. პელოპონესის ნახევარკუნძულის ქალაქებსა და სოფლებში 5 ათასზე მეტი კაცის დაპატიმრების შემდეგ სამეფო ჯარებმა დაბომბეს მშვიდობიანი დასახლებული პუნქტები და ქალაქები. დაბომბვის შედეგად არის დიდი მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში.

დემოკრატიული არმიის მე-8 დივიზიის ნაწილებმა იერიში მიიტანეს სამეფო ჯარებზე გრამოსის რაიონში. განადგურებულია მოწინააღმდეგის კოლონა ცოტილი-ლუვრის გზაზე. მოწინააღმდეგეს დიდი ზარალი მოუვიდა მოკლულთა და დაჭრილთა სახით.

თავისუფალი საბერძნეთის რადიოსადგური იუწყება აგრეთვე, რომ სამეფო ჯარების ტყვედწამოყვანილი ჯარისკაცები და დემოკრატიული არმიის მხარეზე ნებაყოფლობით გადმოსულნი დროებითს დემოკრატიულ მთავრობასა და დემოკრატიული არმიის უმაღლეს შტაბს მიმართავენ თხოვნით—ნება დართონ მათ დემოკრატიული არმიის რიგებში შესასვლელად.

თავისუფალი საბერძნეთის რადიოსადგურმა გადასცა, რომ დროებითმა დემოკრატიულმა მთავრობამ მიიღო ახალი კანონი ორდენის—„თავისუფალი საბერძნეთი“ დაწესების შესახებ. ამ ორდენით დროებითი დემოკრატიული მთავრობის შინაგან საქმეთა მინისტრი დააჯილდოებს თავისუფლებისათვის ბერძენი ხალხის ბრძოლაში განსაკუთრებული დამსახურების გამო.

# მიჩურინელ ვ. ბესტავაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი გამოფენა

გორის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულმა მუზეუმმა მოაწყო გორელი მიჩურინელის ვასილ ბესტავაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი გამოფენა.

როგორც ცნობილია, ვასილ ბესტავაშვილმა შეჯვარების შედეგად მიიღო ატმისა და ყურძნის ახალი ჯიშები. საუკეთესოა ატამი „ბესტავაშვილი № 1“, რომელიც მიღებულია „ხიდისთავური ვარდისფრისა“ და წედისური „თეთრი სახრავის“ შეჯვარების შედეგად. ატმის ეს ჯიში ფართოდ არის გამოყენებული საკონსერვო მრეწველობაში. გარდა ამისა, ბესტავაშვილმა გამოიყვანა ატმის სამი ახალი ჯიში. მასვე სასელექციო მუშაობით გამოყვანილი აქვს ვაზის ახალი ჯიშის 24 ჰიბრიდი. მათ შორის საინტერესოა 12 ჰიბრიდი, რომელთა მეცნიერული შესწავლა მიმდინარეობს. საგამოფენო ფ[illegible] ლამაზად არის გაფორმებული ფოტოსურათ[illegible] ყურძნის ახალი ჯიშებისა და მცდელ ბეს[illegible] შვილის სასელექციო მუშაობის ფოტოს[illegible]თებით.

მუზეუმს განზრახული აქვს წელს გააფართოოს ვ. ბესტავაშვილის სასელექციო მუშაობის ამსახველი გამოფენა.

# ადამ მიცკევიჩის ხსოვნის საღამო

სამშაბათს, 11 იანვარს, საღამოს 7 საათზე, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში (მარის ქ. № 1) შედგება დიდი პოლონელი პოეტის ადამ მიცკევიჩის დაბადების 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.

მოხსენებებს წაიკითხავენ: „ადამ მიცკევიჩის ცხოვრება და შემოქმედება“—დოცენტი მ. კვესელავა, „დიდი მეგობრობა (პუშკინი და მიცკევიჩი)“—პროფესორი ნ. ილინსკი.

# ვანო სარაჯიშვილის ხსოვნის საღამო

დღეს, საღამოს 6 საათზე, ამიერკავკასიის რკინიგზის მხატვრული აღზრდისა და ტექნიკური პროპაგანდის სახლის ხელოვნების ისტორიის შემსწავლელი წრე ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს კლუბში აწყობს რესპუბლიკის სახალხო არტისტის ვანო სარაჯიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ საღამოს.

საღამოზე მოხსენებებს წაიკითხავენ თბილისის რკინიგზის სკოლების მოსწავლეები მოგონებებით გამოვლენ სტალინური პრემიის ლაურეატი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ნატო ვაჩნაძე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ს. ინაშვილი, პოეტი აკადემიკოსი ი. გრიშაშვილი და რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ლ. გერმესაშვილი.

დასასრულ გაიმართება კონცერტი.

# მოხსენება

**11 იანვარს, საღამოს 7 საათზე,** საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული რესპუბლიკური ორწლიანი პარტიული სკოლის კლუბში (ჩიტაძის ქ. № 6) ამავე სკოლის ისტორიულ მეცნიერებათა კათედრის საჯარო სხდომაზე ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ა. ნამორაძე** წაიკითხავს მოხსენებას თემაზე **„კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენა და მისი ისტორიული მნიშვნელობა“.**

# სემინარი

**10 იანვარს, საღამოს 8 საათზე,** მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის შენობაში შედგება მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების ლექტორთა მუდმივმოქმედი სემინარის მორიგი მეცადინეობა. ლექციას თემაზე: **„კაპიტალიზმის საერთო კრიზისი და მისი გამწვავება მეორე მსოფლიო ომის შემდეგ“** წაიკითხავს დოცენტი **ი. ბაჯაძე.**

პასუხისმგებელი რედაქტორი
**გ. ნანიტაშვილი**



## თეატრებში

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — 9-I დღისით—**„ევგენი ონეგინი“**, საღამოს—**„ლაურენსია“** (13 აბ. 6 წარმ., ჭაბუკიანის მონაწილეობით);

რუსთაველის სახელობის—9-I დღისით — **„პირველი ნაბიჯი“**, საღამოს — **„პროვინციის გუბერნატორი“** (9 სერ. 5 წარმ.);

კ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის—9-I დღისით—**„აშუღმურადი“**, საღამოს — **„ბაიადერა“** (6 აბ. 6 წარმ.).

მე-3 შემოსატანი ყველა აბონენტისათვის სავალდებულოა.

## თბილისის სახელმწიფო ცირკი

9 და 10 იანვარს

პირველი ციკლის უკანასკნელი დღეების პროგრამა

**რსფსრ დამსახურებული არტისტის**

## კიოს

და მისი

**75 ასისტენტის მონაწილეობით**

დიდი ახალი საცირკო პროგრამა სამი განყოფილებით.

დასაწყისი 8 ს. და 30 წ.

ბილეთები იყიდება სალაროებში: სახელმწიფო ცირკის კიბის ასავალთან, რუსთაველის პროსპექტზე—მაღაზია „წყლები“ და პლეხანოვის პროსპექტზე—ძალახია № 3.

1949 წლის იანვრიდან გამოვა მასობრივი ყოველთვიური სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი

## „მეცნიერება და ტექნიკა“

**ჟურნალი განკუთვნილია** მკითხველთა ფართო მასებისათვის — უფროსი კლასების მოსწავლეთათვის, სტუდენტობისათვის, მასწავლებელთათვის, ინჟინერ-ტექნიკოსებისათვის, მეცნიერ-მუშაკთათვის, სტახანოველებისა და წარმოების რაციონალიზატორებისათვის, ქალაქისა და სოფლის ინტელიგენციისათვის.

**ჟურნალის მიზანია** მეცნიერებისა და ტექნიკის, პირველ რიგში საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების პროპაგანდა და პოპულარიზაცია ფართო მასებში, საქართველოს მრეწველობისა და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების მუშაობისა და მიღწევების გაშუქება, წარმოების ნოვატორთა მუშაობის ჩვენება.

**ხელისმოწერა მიიღება „სოიუზპეჩატის“ ყველა განყოფილებაში.**

**ხელისმოწერის პირობები**

3 თვით — 15 მან. 6 თვით— 30 მან. 1 წლით — 60 მან.



ს. კაიტანჯიანი, შ. მანჯავიძე, თ. კუნჭულია, დ. ლომთაძე, ი. მხატვარი თანაგრძნობას უცხადებენ ამხ. ვასო ეგნატაშვილს მისი ძმის **ალექსანდრე ეგნატაშვილის** გარდაცვალების გამო.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობა თანაგრძნობას უცხადებს ამხ. ვასილ ეგნატაშვილს მისი ძმის **ალექსანდრე ეგნატაშვილის** გარდაცვალების გამო.

ა. ხუსკივაძე, ა. ნახაპეტიანი, ა. გახოკიძე, ნ. საჯაია, ს. რატიანი, გ. იაშვილი, ძ. დანელია, ტ. ფარღალავა, მ. ფირცხალავა, ნ. ალექსიძე, გ. კეშელავა იუწყებიან პროფესორ მ. შიშნიაშვილის მამის **ესტატეს** გარდაცვალებას.

ვალენტინა, თინათინ, ნათელა და ვალერი გოგუაძეები თანაგრძნობას უცხადებენ პროფესორ მ. შიშნიაშვილს და დოცენტ ე. შიშნიაშვილს მათი მამის **ესტატე ილიას-ძე შიშნიაშვილის** გარდაცვალების გამო.

ლენინის რაიონის II პოლიკლინიკის, ბავშვთა პოლიკლინიკის და ვენდისპანსერის თანამშრომლები იუწყებიან ექიმ **დოდო ვარლამის ასულ ხელაძის** გარდაცვალებას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანატი და სტუდენტები იუწყებიან **ციალა სერგოს ასულ ბერიშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 9-I, 3 ს. ტურგენევის, 4.

მშობლები სონა და ვარლამ ხელაძეები, შვილი ამირან, ძმები კარლო მეუღლით და იაკობი იუწყებიან ექიმ **დოდო ხელაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 9, 10-I, 7 ს. გამოსვენება 11-I, 4 ს. საბჭოს, 117.

მამიდა სონა შვილებით: თამარ, გრიგოლ, მარიკა ხარატები, რძალი მანია, სიძე დავით ხელაძე შვილებით იუწყებიან ექიმ **დოდო ხელაძის** გარდაცვალებას.

კირილე, პაშა, საშა, სერგო, ანეტა, მირიან, მარო, ეკატერინე და ბესარიონ თავდიშვილები იუწყებიან **ალექსი ბესარიონის-ძე თავდიშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 9-I.

სპეციალური სამკურნალო-სანატორიული სამმართველო იუწყება ძველი ბოლშევიკის **ალექსი ბესარიონის-ძე თავდიშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 9-I, 3 ს. მაგისტრალის, 6 (ლენინის რაიონი).

დ. ხანთაძე, გ. კირიაკოვი, ე. წულაია, კ. აბხაზავა, შ. დონაძე, ვ. ნუცუბიძე, ი. ბოძაშვილი, ლ. შენგელია, პ. გოცირიძე, გ. ებრალიძე, შ. ქადეიშვილი, ბ. ქემბროვსკი, ნ. ჰეიშვილი, გ. ხუციშვილი, ს. გორელიშვილი იუწყებიან **გრიგოლ ისიდორეს-ძე ხაინდრავას** გარდაცვალებას.

მექანიზაციის და ენერგეტიკის სამეცნიერო-საკვლევი ცენტრალური ინსტიტუტის კავკასიის ფილიალის თანამშრომლები იუწყებიან **ესტატე ილიას-ძე შიშნიაშვილის** გარდაცვალებას.

მეუღლე მელიტონ, და ელენე ხაჭაპურიძე, ძმა პლატონ ჯაში შვილებით ალექსანდრეთი და გიორგით, ცისანა ჯაში-სერგია ოჯახებით იუწყებიან **ეკატერინე მაქსიმეს ასულ ჯაშირევიშვილის** გარდაცვალებას გამოსვენება 13-I, 3½ ს. რკინიგზის, 5.

შვილები სერგო, ბაბულია, ნინა, გიგა, არჩილ გოცირიძეები ოჯახებით, რეზო გოცირიძე იუწყებიან **დავით რამაზის-ძე გოცირიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 9 10-I, 7 ს. გამოსვენება 11-I, 5½ ს. მონტინის, 45 (ლენინის რაიონი).

საქართველოს კომუნალური ბანკის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ა. ხელაძეს ექიმ **დოდო ვარლამის ასულ ხელაძის** გარდაცვალების გამო.

მ. ჯაში, ი. მარჯანიშვილი, პ. კობახიძე, ი. ბასილაშვილი, ა. მეავია, ნ. ქეცბა, დ. ჯაფარიძე, გ. თოფურია, დ. მინდაძე, ზ. მამამთავრიშვილი, ა. ყალიჩავა, მ. ნაგორნაია, დ. ყენია, ნ. კონსტანტინაშვილი, ი. მახაილოვი, ტ. წერეთელი, ა. ჯაფარიძე, ი. გველუკაშვილი და პ. ბურჯანაძე იუწყებიან ს. გოცირიძის მამის **დავით რამაზის-ძე გოცირიძის** გარდაცვალებას.

ა. ენუქიძე, ი. ცანავა, ტ. ბერიშვილი, ე. წულაია, პ. ჩანტლაძე, ს. გერგაია, ტ. გუგუნავა, ა. მინასიანი, გ. ანთელიძე, ლ. კოხრეიძე, ს. თუმანიანი, მ. მამულაიშვილი, გ. ოგან[illegible] ე. მალადელეი იუწყებიან **ციალა ს[illegible] ასულ ბერიშვილის** გარდაცვალებას.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3.08.67, ხამდივნისა—3.06.88, განყოფილებებისა: პროპაგანდის, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის — 3.81.84, სასოფლ.-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტოსი — 3.80.83, კულტურის, უოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3.80.84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3.73.24, მორიგისა და გამომშვების — 3.81.35, გამომცემლობისა — 3.51.81, სტამბის დირექტორი—3.77.70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“. თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტირაჟი 119 990